

1 მილიონი - ქართულ ონკოლოგიას
A2



ლიგის ძველი ნაცნობები
A5



ტელეკომპანია "კავკასია"
A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 ოქტომბერი, 2005 წელი. №290 (1090)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### "დიდთოვლიანი ზამთრის არ გვეშინია"

თბილისში ბოლო თოვლიანი ზამთარი ავტომანქანის ბევრ მფლობელს ძალზე ძვირად დაუჯდა. მაშინ ქალაქის შესაბამისი სამსახური მოყინულ ქუჩებთან გასამკლავებლად მზად არ აღმოჩნდა.

A2

## ამბები

### წინანდალი საპროტესტო აქციების მოლოდინში

ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის და მისი უნიკალური ბაღის 49 წლით იჯარით გაცემა - გუშინ, გურჯაანში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები-მრეწველების" წარმომადგენლებმა გააპროტესტეს.

A3

## რევიუ

### ოპერის თეატრი მერიას მიმართავს

უკვე კარგა ხანია, რაც კვირაობით რუსთაველის გამზირი იკეტება. თუ თავიდან ამ ფაქტს რიგითი თბილისელების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგებოდა, დღეს უკმაყოფილება გამოთქვა ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობამ და მერიას დახმარება სთხოვა.

A8


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.


## ამინდი

| | 18/10 | 19/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 20 |
| ტყიბული | 21 | 16 |
| სოხუმი | 17 | 12 |
| დმანისი | 18 | 16 |
| გორი | 18 | 16 |
| ონი | 17 | 10 |
| ზუგდიდი | 21 | 16 |
| ახმეტა | 21 | 20 |
| გაგრა | 15 | 15 |
| სამტრედია | 22 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.1712 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1753 |
| რუბლი | 0.0630 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| განცხადებები | A 6 |
| განცხადებები | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# პარლამენტი მთავრობის წევრებს აკრიტიკებს და დასცინის

*პარლამენტში მოვლენები ზოგჯერ არალოგიკურად ვითარდება. მაგალითად, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობა მწვავედ აკრიტიკებდა საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია კი მთავრობის წევრს სახელისუფლებო ფრაქციის შეტევებისგან იცავდა.*

გიორგი ასანიშვილი

საგარეო პოლიტიკური უწყებისა და საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. უმრავლესობის ლიდერებმა "ერთი გუნდის" პრინციპი დაივიწყეს და საგარეო საქმეთა მინისტრის "ცოდვებზე" ხმამაღლა ალაპარაკდნენ. დეპუტატები სალომე ზურაბიშვილს უამრავ რამეს საყვედურობენ. კერძოდ, იმას, რომ 26 მაისს, უცხოელი ელჩების მიღების დროს, მან პარლამენტის მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა გიორგი გომიაშვილის შვეიცარიაში ელჩად არდამტკიცების გამო; რომ მინისტრმა ქართველ ელჩებს აუკრძალა დეპუტატებისთვის ინფორმაციის მიწოდება; რომ პარლამენტში სარატიფიკაციოდ არ წარმოადგინა რიგი საერთაშორისო კონვენციები; რომ მოითხოვა ელჩების გამოწვევის უფლების მინიჭება, რაც ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება...

ყველაზე მკვეთრი გამოსვლა მაინც ხათუნა გოგორიშვილს ჰქონდა, რომელმაც სალომე ზურაბიშვილის პროფესიონალიზმში ეჭვი შეიტანა

გაგრძელება A3 გვერდზე

# თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა!

"ჭაბუკო! რადგან ამოხვ-ელ დიდგორს, ყური მიუგდე ამ არემარეს; აქ წუთიერად შენი წინაპრის გვერდში აღმოჩნდები, ხმლის ვადაზე ხელჩაბღუჯული. შემოგესმება ჟღარუნი თორის, ცხენთა ჭიხვინი, მხედართა ყიჟინა, ბუკის ხმა გამარჯვებულთა. სიამაყით აგიძგერდება გული და მიხვდები, რომ იმ ღირსეულ წინაპართა შვილი ხარ, რომლებმაც ურიცხვი დამპყრობლის დამარცხება შესძლეს. მიხვდები იმასაც, რომ დღეს შენი საფიქრალია, როგორ განამტკიცო და ააშენო ქვეყანა, საქართველო, რომლის გადასარჩენად თავს არ ზოგავდა შენი წინაპარი".

დიდგორის ძეგლის გახსნის დღე -

12 აგვისტო, 1990 წელი;

მერაბ ბერძენიშვილი.

ამ განწყობით გაკეთდა დიდგორის მემორიალი, თუმცა: დიდგორის გმირთა მემორიალი ავაზაკებმა გაძარცვეს (ეს ცნობილია). ყოფილმა მთავრობამ საზოგადოებას ამცნო, რომ, თითქოს, დიდგორის კომპლექსში ყველაფერი აღდგენილია, რაც, სამწუხაროდ, სინამდვილეს არ შეეფარდება. დღევანდელმა მთავრობამ აღდგენაზე უარი განაცხადა სახსრების უქონლობის გამო. გაძარცვული მემორიალი უკვე წლების მანძილზე ელის შველას, მაგრამ - ამაოდ.

გაგრძელება A2 გვერდზე



# ვლადიმირ პუტინს პენზაში ქათმის კვერცხითა და მაიონეზით "გაუმასპინძლდნენ"

ნანა ნასყიდაშვილი

*პენზაში სახელმწიფო საბჭოს გასვლით სხდომაზე დასასწრებად ჩასულ პუტინს ქალაქის სამთავრობო სახლის წინ, ლენინის მოედანზე 400-მდე ადგილობრივი მცხოვრები დაუხვდა. მას შემდეგ, რაც პუტინი ხალხს მიესალმა და სამთავრობო სახლის კიბეზე შეაბიჯა, მოედნიდან მისი მიმართულებით ქათმის კვერცხი და მაიონეზით სავსე პარკი ისროლეს. "სოფლის ნობათმა" მიზანს ვერ მიაღწია და პრეზიდენტის ავტომანქანის სიახლოვეს მიწაზე დავარდა", - წერს რუსული გაზეთი "კომერსანტი". მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტს ბევრი თვითმხილველი ჰყავს, ფედერალური დაცვის სამსახურის თანამშრომლები მომხდარს უარყოფენ.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*საგულისხმოა, რომ პუტინის მიმართულებით კვერცხის სროლის შემთხვევა რუსულ მედიას "გამორჩა".*

# ცესკო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციას ელოდება

*თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ გუშინ რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი განიხილა და ცესკო-ს მოსთხოვა საინიციატივო ჯგუფის სარეფერენდუმო საკითხის კიდევ ერთხელ განხილვა.*

ნანა ქადაგიშვილი

**"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის (რომელიც არ შედის თემში) მერი და გამგებელი პირდაპირი არჩევნებით აირჩიოს ამ ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ?"** - აღნიშნული შინაარსის სარეფერენდუმო საკითხის შესახებ განცხადება 23 მოქალაქისგან შემდგარმა (ირაკლი მელაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ვახტანგ ხმალაძე....) საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ორჯერ შეიტანა და რეფერენდუმის ჩატარებაზე ორჯერვე უარი მიიღო. **"აღნიშნული სარეფერენდუმო საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის არ გახლავთ. ამასთან, საკითხი შემოტანილია "რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მეათე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით,"** - ასკვნის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

აღნიშნული კანონის მეათე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი გაუგებრად, მოქალაქეთათვის ძნელად აღსაქმელად მიიჩნია. **"სარეფერენდუმო საკითხი ვერ ჩაითვლება მკაფიოდ, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია იმ ქალაქებში (რუსთავი, ქუთაისი), სადაც მერს პირდაპირი არჩევნების წესით ირჩევენ. ასე რომ, თუკი ამომრჩეველი კანონმდებლობას არ იცნობს, შეიძლება გაუჩნდეს მოსაზრება, რომ რეფერენდუმის გზით იმ ინსტიტუტის დაკანონება ხდება, რომელიც უკვე არსებობს,"** - ასეთია ცესკო-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი მოტივაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოსახლეობის 10 პროცენტი - სიღატაკეში

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მომავალი წელი სიღარიბესთან ბრძოლაში გარდამტეხ წლად გამოაცხადა.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტი სიღატაკეში ცხოვრობს.

როგორც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ორშაბათს განაცხადა, მსოფლიოში სიღარიბის დაძლევა მხოლოდ ღარიბი და განვითარებული ქვეყნების კოორდინირებული მოქმედებით არის შესაძლებელი.

მისი თქმით, ყოველდღიურად უსახსრობის მიზეზით 30 000 ბავშვი იღუპება. ანანმა აღნიშნა, რომ ეს საგანგაშო მონაცემი განვითარებულ ქვეყნებს არ ეხება. თუმცა, ამ სახელმწიფოებმა ეს მდგომარეობა უნდა გაითავისონ, რათა 21-ე საუკუნეში შიმშილით სიკვდილიანობის ფაქტები მოისპოს.

გენმდივნის განცხადებით, განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების პროგრამების ზრდას ითვალისწინებს სიღარიბესთან ბრძოლის გეგმა, რომელიც გაერო-ს ათასწლეულის სამიტზე სექტემბერში შემუშავდა.

სამიტში 191 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების თაობაზე ანგარიშით წარდგა.

როგორც პრაიმ-ნიუსს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციიდან აცნობეს, სამიტზე მოხდა ათასწლეულის მიზნებისა და ამოცანების გადასინჯვა, რაც განპირობებულია მთელ რიგ ქვეყნებში ათასწლეულის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიუღწევლობით.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გარეთ - მტერს, შიგნით - მოყვარეს

*გორში ქალაქის გასალამაზებლად ასეთი მასშტაბური სამუშაოები არ ჩატარებულა. ქალაქის ცენტრში თითქმის ყოველდღე იღებება ერთი საცხოვრებელი კორპუსი. ნათდება სხვადასხვა დაწესებულებების ფასადებით, თუმცა რა თანხებით ხორციელდება ეს, კაციშვილმა არ იცის...*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

2005 წლის მაისში არნახული ინტენსივობით დაიწყო სტალინის ქუჩაზე ფასადების შეღებვა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთი ბინის შეღებვის სამუშაოების ჩატარება დაახლოებით 14 ათასი ლარი ჯდება. ის ადამიანები, ვინც უშუალოდ ახორციელებენ სამუშაოებს, ამბობენ, რომ ანაზღაურებას ყოველდღე იღებენ, მაგრამ ვერ, ან არ ასახელებენ პიროვნებას, ვინც მათ ერთი კვადრატული მეტრის შეღებვისთვის სამ ლარს უხდის. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არც ქალაქის, არც რაიონის გამგეობაში და არც სამხარეო ადმინისტრაციაში წარმოდგენა არავის აქვს, ვინ ახორციელებს აღნიშნულ სამუშაოებს და რა სახსრებით?!

ჩვენ გაგვაჩნია ოფიციალური პასუხები ქალაქ გორის გამგეობიდან, ქალაქ გორის საკრებულოდან და ქალაქ გორის არქიტექტურისა და დიზაინის სამსახურებიდან, რომ ქალაქში ფასადების შეღებვას მათი სამსახურები არ აწარმოებენ და არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას მიმდინარე სამუშაოების შესახებ. ჩვენს კითხვაზე, "ვინ აწარმოებს გორში ფასადების შეღებვის სამუშაოებს", გორის რაიონის გამგეობა ასეთ პასუხს იძლევა: "ბინების ფასადების შეღებვის სამუშაოები არ ხორციელდება გორის რაიონის გამგეობის დავალებით. აქედან გამომდინარე, გორის რაიონის გამგეობას არ გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია". გორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე გაბროშვილი გაოცებულია, რატომ უნდა გამოეტანა დადგენილება გორის რაიონის საკრებულოს ქალაქში ფასადების შეღებვის სამუშაოების ჩასატარებლად. სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას, როგორც წესი, არქიტექტურის სამსახური თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გორის რაიონის ქალაქმშენებლობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურთან არავის არაფერი შეუთანხმებია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "საქართველოში ნამდვილი რევოლუცია მოხდება"

FM იმედი ცნობები 98.0

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ჯერ პირდაპირ ეთერში გავესაუბრებით მოსკოვში მყოფ ჯემალ გოგიტიძეს, აჭარის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, პარლამენტის ყოფილ წევრსა და "აღორძინების" ფრაქციის ყოფილ ხელმძღვანელს. გარდა ამისა, შემოგვიერთდება ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი. ბატონო ჯემალ, თავს როგორ გრძნობთ?

**ჯემალ გოგიტიძე:** თავს ვგრძნობ შესანიშნავად.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ახლახან კახა თარგამაძემ, რამდენადაც ვიცი, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ანუ იგი საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებს, აქედანაც ჩანს. თქვენ რას აპირებთ? ხომ არ აპირებთ, კახა თარგამაძის მსგავსი გაიმეოროთ?

**ჯემალ გოგიტიძე:** დღეს ქვეყანაში შექმნილია ურთულესი მდგომარეობა. ძნელია დღეს საქართველოში ცხოვრება, თანავუგრძნობ ყველას. ამიტომ, გამორიცხული არაფერია. თუ ადამიანი დღეს საქართველოდან უფრო მეტი სიჩქარით და უფრო მეტი რაოდენობით გადის, ვიდრე ოდესმე რომელიმე ხელისუფალის დროს, ეს არის ჩვენი ტრაგედია. ქვეყანა ცარიელდება, უნიჭიერესი ხალხი გადის სამუშაოდ სხვადასხვა ქვეყნებში და უმეტესი მათგანი შეიძლება ველარც დაბრუნდეს. როდესაც საკუთარ ქვეყანაში თავს დაუპატიჟებელ სტუმრად გრძნობ, იძულებული ხარ, შენთვის მიუღებელ პრინციპებს შეეგუო. ბუნებრივია, ასე ცხოვრებას გირჩევნია, სხვა ქვეყანაში იცხოვრო. მე დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები. ისე, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღო ამ ხელისუფლების წასვლაში. ეს შეიძლება გამოიხატოს ნამდვილ და არა სატყუარა რევოლუციაში. არჩევნებამდე, ალბათ, ვერ მიაღწევს სააკაშვილის ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში, არჩევნებს არ გადასცილდება. იმიტომ, რომ შუალედურმა არჩევნებმა დაადასტურა - არანაირი არჩევნები, არც მაშინ, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, არ ჩატარებულა...

**ალექსანდრე ელისაშვილი:** თუ საიდუმლო არ არის, მოსკოვში რას მოღვაწეობთ?

**ჯემალ გოგიტიძე:** არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ. თავს ვირჩენ, ძალიან უმნიშვნელო ბიზნესი მაქვს. მეგობრები მეხმარებიან, და ვარ ასე. არ მილხინს ნამდვილად.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ასლან აბაშიძესთან, მის გარემოცვასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? აქ იწერება, რომ დაძაბული ურთიერთობა გაქვთ და არც შეხვედრიხართ.

**ჯემალ გოგიტიძე:** არ შევხვედრივარ ნამდვილად, და როგორ ვთქვა, ან დაძაბული ან კარგი ურთიერთობა მაქვს-თქო? მას შემდეგ, რაც 5 მაისს იგი თვითმფრინავში ჩაჯდა და მე საქართველოში დავრჩი, ასლან აბაშიძე არ მინახავს. გავა დრო, შევხვდები, და თუკი რაიმე სახის ურთიერთობა მექნება, ამის თქმა არ მომერიდება. ასლან აბაშიძეს ძალიან ცუდად მოექცა ჯერ შევარდნაძე, შემდეგ კი - სააკაშვილი. რეგიონის ხელისუფლება ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაამხო. ეს იყო რეგიონის დაჩაგვრა. ამას რომ უყურებენ აფხაზები და ოსები, იმიტომ არ უნდიათ ლაპარაკი და იარაღს აჟღარუნებენ.

**ზვიად ძიძიგური:** ასლან აბაშიძე და მისი რეჟიმი შესაცვლელი იყო, მაგრამ მე აჭარაში ხელისუფლების შეცვლა იმისათვის არ მინდოდა, რომ იგივე მიგვეღო აჭარაში, რაც ასლან აბაშიძის დროს იყო.

**ჯემალ გოგიტიძე:** გეთანხმებით.

**ზვიად ძიძიგური:** მაშინ ასლან აბაშიძის ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ საკვანძო თანამდებობებზე, დღეს ვარშალომიძის ნათესავები იკავებენ ყველა ცენტრალურ პოსტს. მაშინ აბაშიძის სიტყვა იყო გადამწყვეტი, რომ ესა თუ ის ბიზნესი განვითარებულიყო, დღეს ვარშალომიძეების კლანი მართავს სიტუაციას. როდესაც ასლან აბაშიძის მიერ დაგროვებული ქონება აჩვენეს ტელევიზიით, და თქვეს, რომ ამას ყველაფერს ხალხს დავურიგებთო, დარიგებული მე ეს არ მინახავს. ვიცი მხოლოდ, რომ მაღალჩინოსნები და მათი ცოლები დადიან ამ მანქანებით და არაფერი სიკეთე არ გვინახავს. აჭარის მოსახლეობა, რომელიც სიკეთეს და ახალ, უკეთეს ცხოვრებას ელოდა, იმედგაცრუებულია. აჭარის ავტონომიის საკითხში დღეს არის რაღაც საოცარი სიტუაცია. თქვენ გახსოვთ, ჩვენ ავტონომიის საერთოდ გაუქმებას ვითხოვდით. არც ავტონომიაა, არც გაუქმებულია. არის სუროგატი ავტონომიისა. ეს არანორმალური მდგომარეობაა და ევროსაბჭოდან და სხვა საერთაშორისო ინსტანციებიდან ხელისუფლებას ამის გამო სერიოზული შენიშვნები აქვს მიღებული. შევარდნაძის ჩამოგდება იმიტომ გვინდოდა და აბაშიძის ხელისუფლების შეცვლაც იმიტომ გვინდოდა, რომ უკეთესი სიტუაცია ყოფილიყო.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ბატონო ჯემალ, თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება რეალურად აჭარაში? თუ ჩამოდიან იქ აჭარიდან ადამიანები?

**ჯემალ გოგიტიძე:** ბატონ ზვიადს ვერ დავეთანხმები იმაში, რომ აჭარაში რევოლუცია მოხდა. აჭარის ხელისუფლება დაამხო ცენტრალურმა ხელისუფლებამ. დღეს იქ არის აუტანელი და ურთულესი მდგომარეობა. აჭარის მოსახლეობა ყოველთვის ცხოვრობდა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობაზე უკეთესად. დღეს ხელისუფლება იძულებულია, მოჩვენებითობის საბურველში ისევ გაახვიოს და იყიდონ აჭარა ფაქტიურად. ვერ გავიზიარებ იმას, რომ ვითომ წარმატებული ბიზნესმენები ყიდულობენ აჭარაში ობიექტებს. სინამდვილეში ისინი ხელისუფალთა ცოლების, მამიდების, დეიდების გასართობ ადგილად იქცა, და ისინი განკარგავენ ყველაფერს. ვარშალომიძეც ვერ წყვეტს. ის ნომინალური პიროვნებაა. რასაც ეუბნება სააკაშვილი, იმას აკეთებს. ქონების ასეთი დატაცება არ ხდებოდა ასლან აბაშიძის დროს. ასლან აბაშიძეს თუ ჰქონდა ქონება და "ჰამერით" დადიოდა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ეს "ჰამერები" წაეყვანა ვანო მერაბიშვილის ცოლს და ა. შ. მოიპარეს ყველაფერი. ტელევიზია გაძარცვეს. ეს ძარცვა მიმდინარეობს დღესაც. საქართველოში ნამდვილი რევოლუცია მოხდება, როდესაც შევარდნაძე და მისი გაზრდილები აღარ იქნებიან. და მე ამ დროს საქართველოში ვიქნები.

# 1 მილიონი - ქართულ ონკოლოგიას

ოთარ ქირია

*ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალური წარმომადგენლობა თბილისს სტუმრობს. ვიზიტი საქართველოში ახალი რადიოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება. ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი უკვე მუშაობს იმ აპარატურის მონტაჟზე, რომელიც სააგენტომ საქართველოს აჩუქა. ამ აპარატურისა და რამდენიმე სიახლის მეშვეობით, ძალიან მალე ონკოლოგიური პაციენტების მდგომარეობა გაცილებით შემსუბუქდება.*

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო - ე.წ "მაგატე" (რუსული აბრევიატურიდან) - საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორია მძლავრ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ის ქვეყანასთან რამდენიმე მიმართულებით მუშაობს - ონკოლოგია, ფიზიკა და გარემოს დაცვა. სხვათა შორის, სწორედ ამ სააგენტოს თანამშრომელი გახლდათ თავის დროზე საბჭოთა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი პროფესორი, ილო ზედგენიძე.

განსჯის სხვა თემაა, რამდენად აქტიურად და მართებულად იყენებენ სააგენტოს მხადაჭერას გარემოს დაცვის ან ფიზიკის სფეროში, მაგრამ ონკოლოგებთან თანამშრომლობა აშკარად გეომეტრიულად პროგრესირებს. საქართველოში უკვე ჩამოვიდა და მონტაჟდება რადიოთერაპიის ახალი აპარატი, რომელიც ონკო-პაციენტების დღევანდელ მდგომარეობას საგრძნობლად შეამსუბუქებს. **"ამ დანიშნულების აპარატი, რა თქმა უნდა, ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ტექნიკა ვითარდება. გარდა ამისა, ჩვენ თერაპიის აპარატი უკვე ფიზიკურად და მორალურად დაძველდა. აპარატს ჩეხური კომპანია "ტერაგამი" აწარმოებს, რომელიც ამ დარგში მსოფლიო ლიდერად ითვლება. აპარატი სააგენტომ უსასყიდლოდ გადმოგვცა, თუმცა - გარკვეული პირობებით, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრსა და სააგენტოს შორის იქნა შეთანხმებული. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ამ აპარატის განთავსების ადგილის სტანდარტების შესაბამისად უზუნველყოფა, აპარატის მოვლა და საჭიროების დროს, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, აპარატის რადიაციული მუხტის განახლება,"** - აცხადებს საქართველოს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტი, აკადემიკოსი რევაზ გაგუა.

"24 საათთან" საუბრისას ატომური ენერგეტის სააგენტოს წარმომადგენელი და ჩვენი რეგიონის კურატორი ანნა ბუსა აცხადებს, რომ **"შესაბამისი ექსპერტებისა და მონიტორინგის საფუძველზე დაასაბუთეს საქართველოს შესაძლებლობები წაყენებული პირობების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამ ვიზიტის ფარგლებში, ჩვენ ბატონ ლადო ჭიპაშვილსაც შევხვდებით. საუბარი იქნება თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე,"** - ამბობს ბუსა.



ნადია ტეილორი, ანნა ბუსა, რეზო გაგუა და ალექსანდრე ჩიკვაშვილი რადიოთერაპიის ახალი აპარატის მონტაჟს აკონტროლებენ

ონკოლოგიის ცენტრისა და სააგენტოს შეხვედრაზე გაირკვა ისიც, რომ დამონტაჟდება ონკოლოგიურ დაავადებათა დაგეგმვის აპარატურაც, რაც ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობაში საკვანძო ფაზად ითვლება. ამუშავდება ე.წ. "პაქტპროგრამა", რომელსაც სააგენტოს მეორე წარმომადგენელი ნადია ტეილორი ხელმძღვანელობს და ის სიმსივნის თერაპიის გააქტიურების პროგრამად არის ცნობილი. ჯამში, ამ ეტაპზე სააგენტო საქართველოს მილიონამდე დოლარის აპარატურით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს საკადრო გადამზადებასაც. ამჟამად, სააგენტოს დაფინანსებით, ხუთი ქართველი იმაღლებს კვალიფიკაციას ევროპის საუკეთესო ცენტრებში. მალე მათ კიდევ რამდენიმე მიემატება.

დაბოლოს, რამდენად შეიცვლება პაციენტების მდგომარეობა? როგორც ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის, პროფესორ ვეფხვაძის სახელობის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიკვაშვილი აცხადებს: **"პაციენტების მდგომარეობა რამდენიმე თვალსაზრისით გაუმჯობესდება: გაიზრდება დიაგნოსტიკის, თერაპიის დაგეგმვისა და, შესაბამისად, მკურნალობის ხარისხი. რაც უფრო ახალია აპარატი, მით უფრო მალე სრულდება სხივური თერაპიის კურსი, და თუ დღეს ჩვენს ხელთ არსებულ აპარატს ერთი პროცედურის დასრულებისთვის 7-8 წუთი სჭირდება, ახალი ამას 2-3 წუთში შეძლებს. მცირდება ასევე დასხივების არეალი, ანუ რადიაციული სხივი არ ხვდება სამიზნის მიმდებარე ტერიტორიებზეც. გაცილებით მცირდება გვერდითი მოვლენები. იზრდება პროდუქტიულობა და თუ აქამდე ექიმები სამ ცვლაში მუშაობდნენ, მომავალში აპარატი გაცილებით მოკლე დროში სამჯერ მეტ პაციენტს მოემსახურება. ჯამში, მივიღებთ იმას, რომ მკურნალობის სწრაფად და ხარისხიანად მიღების საშუალება გაცილებით მეტ ადამიანს ექნება. ამასთან, არსებობს ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ პაციენტები პალიატიურიდან რადიკალური გამოჯანმრთელების მდგომარეობაში გადავლენ,"** - ამბობს ჩიკვაშვილი.

ცნობისათვის: ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა პაციენტებისთვის ნაწილობრივ უფასოა. კერძოდ, სახელმწიფო პროგრამა აფინანსებს 70 პროცენტს, დანარჩენს კი - პაციენტი.

# თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა!

პირველი გვერდიდან

მე კი მეგონა, ისტორიულ მემორიალს, სადაც მოხდა "ძლევაი საკვირველი", დღევანდელი ახალგაზრდული ენერგიით სავსე მთავრობა არა თუ აღადგენდა, არამედ 12 აგვისტოს - ამ დიდ დღეს - ყოველწლიურად იზეიმებდა ქართველთა ერთიანობის და ერის სულიერების განსამტკიცებლად. ვაგლახ, რომ ეს ასე არაა. ყოველ წელს, 12 აგვისტოს, მხოლოდ ხალხი იკრიბება საქართველოს ყველა კუთხიდან და დიდგორობას ზეიმობს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების გარეშე. ყოველივე ეს ჩემი, თქვენი და ერის ტკივილია!

ახლა გაუგონარ უმეცრებასა და საკვირველებაზეც უნდა გითხრათ:

ცოტა ხნის წინ, საღამო ჟამს ტელეფონით დამიკავშირდა ტელეჟურნალისტი და მთხოვა ინტერვიუ, თუ რა აზრისა ვარ დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღომში გადატანის თაობაზე. ბუნებრივია, ინტერვიუს ვერ მივცემდი, რადგან მე ამის შესახებ მისგან შევიტყვე და აქამდე სხვა არაფერი მსმენოდა, ამ დროს კი თურმე ძეგლის პიედესტალიც უკვე გაკეთებულია! იმ საღამოს ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა, სხვადასხვა ტელეარხიდან რეკავდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირ პასუხს იღებდა: "მე ამის შესახებ არაფერი ვიცი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით". ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ თავად არ მოვისმინე ტელევიზიით ბატონ გიგი უგულავას აზრი ძეგლის გადატანის თაობაზე.

მოგეხსენებათ, იტალიის დედაქალაქის - რომის ყოველი კუთხე ისტორიული მნიშვნელობისაა და ქალაქის მერია სპეციალისტთა გარეშე ერთი ადგილიდან მეორეზე უბრალო ქვის ნატეხსაც ვერ გადაიტანს. როცა პეტრეს ტაძრის მთავარი შესასვლელის კარი მოქანდაკე მანცუს მიერ შექმნილი რელიეფებით შემოსილი კარით შეცვალეს, წლობით ირჩეოდა ეს საქმე და განხილვაში რომის პაპიც იღებდა მონაწილეობას. ბოლოს საკითხი რეფერენდუმმა გადაწყვიტა. ამით მე მინდა ვთქვა, რომ ყველაფერი ხდება ამქვეყნად, ისტორიულ კარსაც ცვლიან, ძეგლებიც გადააქვთ (სხვათა შორის, სახლებიც), მაგრამ მათი გადატანა ხდება მკაცრი კანონით, სპეციალისტებისა და საზოგადოების აზრის თანხმობის შემდეგ. დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა, როგორც ჩანს, ზოგიერთებს საკუთარ სახლში რემონტის შემდეგ კარადის ერთი კუთხიდან მეორეში გადატანა ჰგონიათ. ძეგლის გადაადგილება იოლი საქმე არ გახლავთ. მას აუცილებლად მისივე შესატყვისი ადგილი უნდა მოეძებნოს, სხვა შემთხვევაში ძეგლის გადაგდება გამოგვივა და არა - გადაადგილება. ამიტომ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მანამდე ავტორთან საუბარი იყო საჭირო, ამას ელემენტარული აუცილებლობა მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ეს არ გაკეთდა და როცა ძეგლის გადატანის ამბავი გახმაურდა, მხოლოდ შემდეგ იფიქრეს და შეეცადნენ ავტორის აზრის გაგებას. რადგან მე ძეგლის ავტორი ვარ (რომელსაც საავტორო უფლება აქვს), სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ადგილი, რომელიც შერჩეულია ძეგლის გადასატანად, ცუდია, სრულიად შეუფერებელია და, გარდა ამისა, კონტრაჟურში ძეგლის დაყენებაც უცოდინრობის და თავხედობის ნიმუშია (ანონიმ არქიტექტორს ეს უნდა სცოდნოდა!).

მერედა ვინ ბრძანა, რომ ძეგლი ასეთ სიმაღლეზე აზიდონ, მე ასე არა მაქვს ნაფიქრი, არც კვარცხლბეკის ფორმაა ჩემეული; და საერთოდ, რა უზნეობასთან გვაქვს საქმე! ვინმემ იფიქრა ამაზე? როცა ძეგლი იდგმება, მოქანდაკე არქიტექტორთან ერთად შეისწავლის გარემოს, წლის მანძილზე აკვირდება მზეს, განათების ორიენტაციას. იცის, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე რომელი ნაკვთი როგორ ჩანს. არც ადგილს ირჩევენ შემთხვევით. ამაზე ანონიმ არქიტექტორს უნდა ეფიქრა, რათა არ წარმოეჩინა თავისი გაუნათლებლობა და უზნეობა. ამავე დროს, მერიის მესვეურნიც არ უნდა ჩაეყენებინა უხერხულ სიტუაციაში არც მას და არც იმ ხელმოცარულ ხელოვან მრჩევლებს, რომლებსაც, სულხან-საბას სიტყვით რომ ვთქვათ, "მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა" სჩვევიათ. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ გარდა ავტორისა, ამ ძეგლის უკან მთელი ერი დგას! და საერთოდ, მეფეს, რომელსაც ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი შეარქვა, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, და რომელმაც დედაქალაქი - თბილისი გაათავისუფლა დამპყრობლისაგან, ასე არ ეპყრობიან; არც დედაქალაქს ჰკადრებენ, გასასვლელ-შემოსასვლელში დაუყენონ ცხენის ფიგურა უკანალით, ხოლო მეფე დავითი მცხეთიდან მომავალ მოქეიფეთა შესახვედრად იდგეს (მოგეხსენებათ, მთელ სიგრძეზე რესტორნებია ჩამწკრივებული). თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა. მისი ზეაწეული მარჯვენის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩათ იმათ, ვისაც ძეგლის გადატანა ჩაუფიქრებია. ქართველი ხალხისთვის კი ის ძალზე მნიშვნელოვანია და ბევრს ნიშნავს - ეს ის ხელია, რომელსაც ხმალი ეპყრა მტრებისაგან საქართველოს დასაცავად; ეს ის ხელია, "გალობანი სინანულისანი" რომ დაწერა; ეს ის ხელია, რომელიც მიგვანიშნებს ღვთის ძალას, "რომლის წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი". ამან მაინც რატომ არ დაგიბადათ აზრი, სურვილი იმისა, რომ გეკითხათ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის - ილია მეორისათვის, რა აზრისაა ეკლესია ამ საქმის თაობაზე.

გულის სიღრმეში ყველამ კარგად იცის, რომ დიდი შეცდომაა, "დავით აღმაშენებელი" ანაცვალო ჯერ კიდევ გაუგებარ ნაგებობებს, რომელთა შესახებ ბოლომდე არც თვითონ ქალაქის მესვეურებს აქვთ შექმნილი წარმოდგენა, თუ რა იქნება და რას მივიღებთ. გულის სიღრმეში ხომ ყველას რცხვენია, რომ ყაზახეთის პრეზიდენტს, ბატონ ნურსულთან ნაზარბაევს ეამაყება, იქ რომ აგებს დიდ შენობას, სადაც მეფე დავითის ძეგლია აღმართული, ქართველებს კი ძეგლი ამ ადგილიდან გადააქვთ. გულის სიღრმეში ხომ ყველამ ვიცით, რომ დავით სასუნცს ჩვენი მეზობელი ქვეყანა ასეთ რაიმეს არასოდეს ჰკადრებს. ბატონმა უგულავამ უნდა იცოდეს, რომ მან მარტო მე კი არ მომაყენა შეურაცხყოფა, როცა საჭიროდ არ ჩათვალა, ეკითხა აზრი ავტორისათვის (სხვათა შორის, წიხლი არ მწყენია), არამედ მან მთელ ერს მიაყენა შეურაცხყოფა, როცა არაფერი ჰკითხა თბილისის მოქალაქეებს, იმ ქართველ ჭაბუკებს, რომლებსაც საქართველოსთვის უძგერთ გული.

P.S. მინდა იცოდეთ, რომ ამ ძეგლის აღება ურთულესი რამ გახლავთ, რადგან იგი იმ წესით არაა დადგმული, როგორც, ჩვეულებრივ, ძეგლები იდგმება ხოლმე, - როცა ძეგლს ანკერებზე ჭანჭიკებით ამაგრებენ და გადატანის შემთხვევაში მხოლოდ ჭანჭიკის მოხსნა იკმარებს. აქ ძეგლის შიდა ნაწილი შველერებისაგან ქმნის მთლიან კარკასს, რომელიც ცხენის პლინტუსთანაა დაკავშირებული და ოთხივე ფეხში გაყრილი შველერები, პლინტუსთან ერთად, ჩაბეტონებულია კვარცხლბეკში. ვინაიდან სპეციალური ხვრელებიდან ხდებოდა ბეტონის ჩასხმა, პლინტი და ცხენის ფეხები სავსეა ბეტონის მასით. მან ვინც გთავაზობთ ძეგლის გადატანას, ან ეს არ იცის, ან არ იცის ის, თუ ბეტონის მტვრევისას რა ელის ძეგლს, რადგან ბრინჯაო მსხვრევადია. რამდენადაც ძეგლის დამდგმელ ოსტატებს სწამდათ, რომ ისინი ამ ძეგლს საშვილიშვილოდ დგამდნენ, ამიტომ ისურვეს ამგვარი ხერხის გამოყენება. ყოველივე ამას თავადაც დაადასტურებენ თბილისის ქანდაკების კომბინატის ოსტატები.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

*მერაბ ბერძენიშვილი*

# "დიდთოვლიანი ზამთრის არ გვეშინია"

## გვაიმედებენ შესაბამისი სამსახურები

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში ბოლო თოვლიანი ზამთარი ავტომანქანის ბევრ მფლობელს ძალზე ძვირად დაუჯდა. მაშინ ქალაქის შესაბამისი სამსახური მოყინულ ქუჩებთან გასამკლავებლად მზად არ აღმოჩნდა. არადა, მანქანებისა და ტექნიკური მარილის წინასწარ მომარაგება იყო საჭირო. როგორც თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელობა აცხადებს, წლევანდელ ზამთარს მსგავსი პრობლემა აღარ შეიქმნება. **"დღესაც რომ დაიწყოს თოვა, ტექნიკური მარილის სამი კვირის მარაგი უკვე გვაქვს. მანქანებიც საკმარისი რაოდენობით არის. პრობლემა არც არსებული მარაგის ამოწურვის შემდეგ შეიქმნება, ნელ-ნელა შევიძენთ. მართალია, აღნიშნული ღონისძიებისთვის ბიუჯეტში მიზნობრივი თანხები არ დევს, მაგრამ საჭირო სახსრებს სხვადასხვა მუხლებიდან ავიღებთ,"** - აცხადებს სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი.

ასევე დამაიმედებელ ინფორმაციას იძლევა საქართველოს გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. **"გზების იმ რთული მონაკვეთებისთვის, სადაც დიდთოვლობის დროს ტრანსპორტით სიარული განსაკუთრებით საშიშია, ტექნიკური მარილის მთელი ზამთრის მარაგი გვაქვს. ბიუჯეტიდან ზამთრის პერიოდში გზების შენახვის ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები იმის საშუალებას გვაძლევს, რომ თოვლიან ზამთარში პრობლემა არ შეგვექმნას. არსებული მარაგი რომც ამოგვეწუროს, მისი შევსება არ გაგვიჭირდება,"** - გვპირდება საქართველოს გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგი წერეთელი.

ჯვრის უღელტეხილზე კი გზების დეპარტამენტი საგანგებო რეჟიმის შემოღებას აპირებს. გუდაურიკობის საავტომობილო მონაკვეთი, რომელიც ზღვის დონიდან 2388 მეტრზე მდებარეობს, განსაკუთრებით რთულია, რადგან დიდთოვლობით, ქარბუქითა და ზვავსაშიშროებით ხასიათდება. 15 ნოემბრიდან მოძრაობა ეკრძალებათ მისაბმელიან, ნახევრად მისაბმელიან ტრანსპორტსა და 30 მგზავრზე მეტი ტევადობის ავტობუსებს. საჭიროების შემთხვევაში მგზავრებს სხვა სახის ტრანსპორტით გადაიყვანენ. **"ტრანსპორტის მოძრაობის დადგენილი რეჟიმი თუ მკაცრად არ იქნება დაცული, მძიმე სატრანსპორტო შემთხვევები და მსხვერპლი გამორიცხული არ არის,"** - გვაფრთხილებს დეპარტამენტი და აღნიშნული რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებაზე პასუხისმგებლობას იხსნის.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!**
**ამა წლის 30 ოქტომბერს, კვირას, გაიმართება ასოციაციის წევრთა XI საერთო კრება.**
**კრების ჩატარების ადგილი: თბილისი, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტი" (თავისუფლების მოედანი).**
**დასაწყისი :10 საათი**

# მოსახლეობის 10 პროცენტი - სიღატაკეში

პირველი გვერდიდან

ასოციაცია პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს. მათი ინფორმაციით, ათასწლეულის განვითარების პროგრამის ვალდებულებებიდან საქართველოში შესრულდა მხოლოდ ერთი მიზანი, რომელიც სასკოლო განათლების საერთაშორისო სისტემაში ჩართვასა და უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა.

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, შემცირების ნაცვლად, 2/3-ით გაიზარდა. ამასთანავე, არ შემცირებულა დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

2015 წლამდე უნდა განახევრებულიყო მოსახლეობის იმ კატეგორიის რიცხვი, რომელთა კვების რაციონი მხოლოდ პურპროდუქტებისგან შედგება. ამასთან, 1/2-ით უნდა შემცირებულიყო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო წყალზე.

სტატისტიკური მონაცემებით, 2004 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 52,7 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა უღარიბესი მოსახლეობის წილი 2003 წლის მაჩვენებლისგან არ განსხვავდება და 16,9 პროცენტს შეადგენს.

არსებული ტენდენციების უცვლელად შენარჩუნების პირობებში, 2015 წლისთვის საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონე 60-პროცენტიან ნიშნულს მიაღწევს - დედაქალაქში სიღარიბის დონე 45 პროცენტი, ხოლო სოფლად 75 პროცენტი იქნება.

*პრაიმ-ნიუსი*

# გარეთ - მტერს, შიგნით - მოყვარეს

პირველი გვერდიდან

ჩვენთვის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირისგან ცნობილია, რომ ქალაქში ფასადების შეღებვის სამუშაოები გორის რაიონის განვითარების ფონდიდან ფინანსდება. "24 საათმა" გორის რაიონის გამგეობიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ფონდის ხარჯთაღრიცხვის შესახებ, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ინფორმაციის მოთხოვნიდან ერთი თვეა გასული, საჯარო ინფორმაცია გორის რაიონის გამგეობაში იბლოკება. როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა თამარ მურალოვამ გვითხრა, ჩვენს განცხადებას "გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი განიხილავს".

რწმუნებულის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ალექსი ჯალაბაძე პრეზიდენტის ფონდიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან რწმუნებულის ფონდში ჩარიცხული თანხის და მისი ხარჯვის შესახებ ინფორმაციას საგულდაგულოდ მალავს. **"არ მოგცემთ არავითარ ინფორმაციას, იმიტომ, რომ ეგრე მინდა,"** - ამბობს ალექსი ჯალაბაძე.

რატომ იმალება ყველა აღმასრულებელ ორგანოში ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რომლითაც ხელისუფლება თავს იწონებს? იქნებ იმიტომ, რომ ხალხი მაინც უკმაყოფილოა და პრეტენზიების კონკრეტული ადრესატი გამოჩენას ერიდება? გორელები კი, ძირითადად იმაზე ჩივიან, რომ მათ სახლებში, ფასადების შეღებვამდე, სხვა აუცილებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი.

დარიკო ჯიქურაშვილი, სტალინის ქ. N20-ში მცხოვრები: **"პრობლემას და გასაკეთებელს რა გამოლევს. გარედან რომ გააკეთეს, შემოიხედეთ ეზოშიც! ერთი წვიმა და ბინის წინ ისეთი ტბა დგება, ნავი გაცურდება. წყალი სარდაფებშიც ჩადის და სადარბაზოსაც აზიანებს. მაგრამ ჩემს ლაპარაკს რა აზრი აქვს, დახმარებას მაინც არავინ გაგვიწევს."**

მაია მურგა, სტალინის ქ. N4-ში მცხოვრები: **"ბინა საშინელ დღეშია, სახურავიდან წყალი ჩამოდის და ჩვენს სადარბაზოებშიც ისე წვიმს, როგორც გარეთ. ქვაბებით და ვედროებით დავრბივართ მთელი ბინა. ვის აღარ მივმართეთ დახმარებისათვის, მაგრამ ყველა უარით გვისტუმრებს, გვეუბნებიან, ბინა პრივატიზებულია და თქვენს პრობლემას თქვენვე მიხედეთო."**

ელიზა ტაველიძე, სტალინის ქ. N6-ში მცხოვრები: **"ერთი ანდაზის არ იყოს, გარეთ მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნით მოყვარესო, ამ ფასადების საქმე ეგრეა. მე ასე მგონია, მთავრობამ თავისი კაპრიზის გულისთვის შეღება ფასადები, თორემ ხალხისთვის რომ ეკითხათ, რა თქმა უნდა, ხალხი უფრო საჭირო პრობლემის მოგვარებას მოითხოვდა და არა შენობების "შეწუწვას".**

ლამაზია ქალაქი შესახედად, მაგრამ თითქმის ყველა ბინაში სახურავის შეკეთებაზე და სარდაფების დაგუბებული წყლის ამოწრობაზე ოცნებობენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის (შსკ) სხდომაზე, რომელიც 24-25 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება, ქართული მხარე საკმაოდ სერიოზულ საპროტესტო განცხადებას გააკეთებს.

მოხსენების ტექსტზე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა მუშაობს. მოხსენებაში რამდენიმე პრეტენზია იქნება გამოთქმული, მათ შორის - ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების საქმიანობასთან დაკავშირებით.

როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამ საკითხზე გუშინ ცხინვალშიც ისაუბრეს. "ქართული მხარე რუსი სამხედროების და მთლიანად ცხინვალში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების უმოქმედობას სერიოზულად გააპროტესტებს," - აღნიშნა ვოლსკიმ. მისივე თქმით, დღეისთვის სამშვიდობო ძალები წარმოადგენს სამხედრო შენაერთს, რომელიც კონფლიქტის ზონაშია მობილიზებული. "მშვიდობისმყოფელები მათთვის გათვალისწინებული მანდატის ფარგლებში არ მოქმედებენ," - მიიჩნევს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აღშფოთებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების გამო. "ბოლოს და ბოლოს, ყველას თავში აუვარდა. ნებისმიერ დეპუტატს განცხადების გაკეთების უფლებამოსილება კონსტიტუციით აქვს მინიჭებული და საკუთარ განცხადებაზე პასუხსაც არ აგებს," - აღნიშნა ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას. მისი განცხადებით, თუ სალომე ზურაბიშვილი ამ ფაქტს ვერ შეეჩვია, ეს სხვისი პრობლემა არ არის. "მე მას მოვუწოდებ, კიდევ ერთხელ ჩაიხედოს საქართველოს კონსტიტუციაში," - აცხადებს თევდორაძე. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ გამოთქმული უკმაყოფილო განცხადებები საერთაშორისო სარატიფიკაციო დოკუმენტს - ეროვნული უმცირესობების ჩარჩო-კონვენციას შეეხებოდა. "აღნიშნული დოკუმენტი შევარდნაძის დროს იყო შემოსული პარლამენტში, შევარდნაძის დათქმებით. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისიც კი არ იკადრა, რომ ახალი დათქმები გაეკეთებინა ამ დოკუმენტისათვის," - აღნიშნა ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა ერთობლივად შეიმუშავეს ეროვნული უმცირესობების ჩარჩო-კონვენციის დათქმები და სწორედ ის ვარიანტი გავიდა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რასაც მოგვიანებით კენჭი ეყარა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2006 წელს საქართველო საელჩოებს კიდევ ხუთ ქვეყანაში გახსნის. როგორც გუშინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ პოლოლიკაშვილმა განაცხადა, 2006 წელს საქართველოს საელჩო გაიხსნება ჩეხეთში, იაპონიაში, ინდოეთში, პორტუგალიაში და სკანდინავიის ერთ-ერთ ქვეყანაში, რომელიც სკანდინავიის სამივე ქვეყანას გადაფარავს. რაც შეეხება პორტუგალიის საელჩოს, პორტუგალიის საელჩოს ესპანეთის საელჩო გადაფარავს.

მომავალ წელს იგეგმება საკონსულოების გახსნა ნიუ-იორკსა და სალონიკში.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, ახალი საელჩოების გახსნა, განსაკუთრებით - პორტუგალიაში და სკანდინავიაში, მნიშვნელოვანია, თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა იფიქროს საელჩოს გახსნაზე ბალკანეთის ერთ-ერთ ქვეყანაშიც. "ჩვენ შეგვიძლია, სხვა გზით წავიდეთ და უნგრეთში საქართველოს საელჩოს დავავალოთ, ბალკანეთის ქვეყნები გადაფაროს," - განაცხადა გაბაშვილმა. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ აფრიკის, შვედეთის, მალაიზიის, ავსტრალიის, კვიპროსის, კანადის, ტაილანდის, ხორვატიის, სერბეთის, ზამბიის, ნიგერიის, ესპანეთის და ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ სახლმწიფო კანცელარიაში საზეიმო მიღება გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, 17 ოქტომბრიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელთა გაწვევა დაიწყო. გაწვევის სტატისტიკის სამსახურის ცნობით, წვევამდელთა გაწვევა 30 დეკემბერს დასრულდება. გეგმის თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში 1950 წვევამდელს გაიწვევენ. ისინი სასაზღვრო და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დანაყოფებში გადანაწილდებიან. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათაიშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი), ირაკლი ლეჟავა (მაკეტირების მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ეთო მარგაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამარ ჩხაიძე (მენეჯერი), მანა ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნოქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ანდღილაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაშიშვილი.

# პარლამენტი მთავრობის წევრებს აკრიტიკებს და დასცინის

პირველი გვერდიდან

და იქვე განაცხადა, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკების შეთანხმებებს სულაც არ არის საგარეო საქმეთა მინისტრის დამსახურება.

კანონმდებლები განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გასულ კვირას გავრცელებულ განცხადებაზე, რომელშიც დეპუტატთა გარკვეულ ჯგუფს დიპლომატიურ უწყებაზე ზეწოლაში ედებათ ბრალი.

**"ის ადამიანი, ვისაც ასეთი განცხადების გაკეთება მოუვიდა აზრად, მკაცრად უნდა დაისაჯოს,"** - მოითხოვა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სალომე ზურაბიშვილის კიდევ ერთ ქმედებას აკრიტიკებს და ნაცნობს, რომ ელჩების არადროული გამოწვევის გამო, მინისტრის, თავის დროზე, პასუხი არავის მოუთხოვია.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ზემოთ ნახსენებ განცხადებას, მასზე პარლამენტის სპიკერის რეაქცია ასეთია: **"როგორც ჩანს, ზოგიერთი მინისტრი ვერ ერკვევა კონსტიტუციაში და ეს მისი პრობლემაა. მე კი არ ვაპირებ, რომ დავუშვა მსგავსი ტიპის განცხადებები პარლამენტის მისამართით, რადგან ამით პარლამენტარიზმის პრინციპები ირღვევა. ასეთი განცხადების გაკეთებით საგარეო საქმეთა სამინისტრო ინსტიტუციონალური შეცდომა დაუშვა."**



პარლამენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის დაპირისპირება გრძელდება.

პარლამენტის და სამინისტროს ურთიერთობის ხელმძღვანელობის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის კრიტიკას ოპოზიცია არ იზიარებს.

**"საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება წარმოადგენს რეაქციას პარლამენტის ქმედებებზე. საკუთარი შეცდომების დანახვაც უნდა შევძლოთ. გარდაბ ისე ჩანს, რომ გარკვეული ადამიანები სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციას ცდილობენ,"** - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი მანანა ნაჭყებია, რომელიც იმ ორმაგ სტანდარტებზე საუბრობს, რომლებიც, მისივე თქმით, უმრავლესობის წარმომადგენლებს სალომე ზურაბიშვილისა და გიორგი არველაძის, აგრეთვე, სალომე ზურაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის მიმართ იყენებენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტის ხელმძღვანელობის დაპირისპირებას, როგორც ჩანს, გაგრძელება აუცილებლად ექნება, რადგან კანონმდებლები სალომე ზურაბიშვილს პარლამენტში იბარებენ და დაგროვილ კითხვებზე მისგან პასუხებს ელიან.

დეპუტატები მთავრობის წევრებს არა მარტო აკრიტიკებენ, არამედ დასცინიან კიდეც. კერძოდ, ბიუროს სხდომაზე დეპუტატების ირონიის საგნად იქცა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის მინისტრს ეძლევა უფლება, რომ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში პატიმრებისთვის ამანათებისა და ფულადი გზავნილების გაგზავნა აკრძალოს.

მთავრობის ინიციატივის მიხედვით, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში, სადაც განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები არიან განთავსებულნი, მინიმარკეტები უნდა გაიხსნას და პატიმრებმა პლასტიკური ბარათებით ისარგებლონ.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი აღნიშნავს, იუსტიციის სამინისტროში აღნიშნული კანონპროექტი იმის გამო მომზადდა, რომ საპატიმროებში ხშირად ხვდება ისეთი აკრძალული ნივთები, როგორიც არის ბასრი იარაღი, მობილური ტელეფონები და ა.შ. აღნიშნული ნივთების ამოსაღებად კი იუსტიციის სამინისტროს უდიდესი ძალისხმევის გაწევა უხდება.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღნიშნულ იდეას "გენიალურ მიგნებას" უწოდებს, ხოლო ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს სურს, რომ სავაჭრო ცენტრ "გუდვილში" გაიხსნას სპეციალური სექცია, რომლითაც მხოლოდ პატიმრები ისარგებლებენ...

პარლამენტის ბიურომ გუშინ, აგრეთვე, დაამტკიცა კვოტები იმ დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის, რომელიც ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნეს-ინტერესებს შეისწავლის. აღნიშნულ კომისიაში "ნაციონალებს" 5 წარმომადგენელი ეყოლებათ, დამოუკიდებელ დეპუტატებს - სამი წევრი, ხოლო ფრაქცია "მაჟორიტარებს", "დამოუკიდებელ მაჟორიტარებს", "საქართველოს რეგიონებსა" და "მემარჯვენე ოპოზიციას" - ორ-ორი.

ეს ბალანსი ძალაში დარჩება ახალი ფრაქციის შექმნის შემდეგაც, რაც უახლოეს მომავალში მოხდება. იგი ოპოზიციური იქნება და არანაკლებ 15 დეპუტატს გააერთიანებს. მასში შევა რვა "კონსერვატორი", ექვსი "რესპუბლიკელი" და უმრავლესობიდან სულ ცოტა ხნის წინათ გასული დავით ზურაბიშვილი. ახალ ფრაქციას, რომლისთვისაც ჯერ სახელი არ შეურჩევიათ, სავარაუდოდ, სწორედ ეს უკანასკნელი უხელმძღვანელებს.

# ცესკო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციას ელოდება

პირველი გვერდიდან

რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ირაკლი მელაშვილი აღნიშნულ არგუმენტებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. **"ეს სასამართლოს გადაწყვეტილებამაც დაამტკიცა,"** - აცხადებს იგი.

თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საინიციატივო ჯგუფის წევრების შეკრება და მათ მიერ შეთავაზებული სარეფერენდუმო საკითხის კიდევ ერთხელ განხილვა მოსთხოვა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გია ქავთარაძე კი აცხადებს, რომ ცესკო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციას გაეცნობა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაცია ის გახლავთ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია სარეფერენდუმო საკითხის განხილვამდე საინიციატივო ჯგუფის წევრებს არ შეხვედრია.

# წინანდალი საპროტესტო აქციების მოლოდინში

*ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის და მისი უნიკალური ბაღის 49 წლით იჯარით გაცემა - გუშინ, გურჯაანში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები-მრეწველების" წარმომადგენლებმა გააპროტესტეს. მათი განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ საზოგადოების აზრი არ გაიზიარა, არ გამორიცხავენ, რომ ერის საგანძურის დასაცავად წინანდალში საპროტესტო აქციები დაიწყოს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

**"საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტს, საზოგადოებას! ინფორმაციამ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა და წინანდლის ბაღის იჯარით გაცემის შესახებ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება ისტორიული და უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლებისადმი. წინანდალი არა მარტო კახეთის, არამედ მთლიანად საქართველოს საგანძურია,"** - ასეთი განცხადება გააკეთეს გუშინ გურჯაანში გამართულ პრესკონფერენციაზე "ახალმა მემარჯვენეებმა" და არასამთავრობო ორგანიზაციათა კლუბის წევრებმა. **"ხელისუფლების წყარო ხალხია და მან უნდა გაითვალისწინოს ხალხის ნება. ნება კი ერთია, არ დავუშვებთ კულტურული მემკვიდრეობის გასხვისების ობიექტად გამოცხადებას. არ დავკარგავთ იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა სისხლის ფასად შეგვინარჩუნეს,"** - ამბობენ კახელები.

# კონფერენცია ესპანეთში

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე 12-14 ოქტომბერს სამუშაო ვიზიტით ესპანეთში იმყოფებოდა.

მადრიდში ესპანეთის გენერალურ მდივანს ევროკავშირის საკითხებში მიგელ-ანხელ ნავაროს და ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს რაფაელ დესკაიარს შეხვდა.

შეხვედრებზე გიორგი ბარამიძე ესპანელ კოლეგებს ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოში მიმდინარე ცვლილებებისა და მიღწევების, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, NATO-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესებზე ესაუბრა.

ესპანური ფონდის "ელკანოს" მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სადაც ესპანეთის სახელმწიფო სტრუქტურების, კონგრესისა და დიპლომატიური კორპუსის, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, გიორგი ბარამიძე სიტყვით გამოვიდა. ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი ასევე მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

*24 საათი*

# "თბილის ბუმი" და მძიმე კრიმინოგენული ვითარება გალში

ენვერ კუპრავა
*სოხუმიდან*

გალის რაიონის ქვედა ზონაში, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ გასული კვირის მანძილზე ათამდე დანაშაული დააფიქსირა, რომელიც რეგიონში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ადგილობრივი გლეხებისგან მოსავლის "კონფისკაციას" უკავშირდება. თითქოსდა საგრძნობლად დამშვიდებული კრიმინოგენული ვითარების შესახებ წარმოდგენილი სურათი დარღვეულია.

ამასთან, აფხაზეთის სამართალდამცავ ორგანოებს ნაკლებად აქვთ წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ საქართველოსთან გამჭვირვალე საზღვრის არარსებობის პირობებში, როგორ უნდა ებრძოლონ კრიმინალურ აქტივობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, მათ დამნაშავეთა მოძებნის შესაძლებლობა არ აქვთ, რადგან ისინი მოსაზღვრე ტერიტორიას აფარებენ თავს. ამავე დროს, კარგად არის ცნობილი, რომ კრიმინალურ ქმედებებში მონაწილეობას აფხაზური დაჯგუფებებიც იღებენ. "ყოველთვის მოქმედებენ ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებები. არ იფიქროთ, რომ ჩვენ მხოლოდ ქართველი დამნაშავეები გაგვირბიან. ჩვენებიც მათთან ერთად გარბიან, შემდეგ კი სახლში ბრუნდებიან," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გალის რაიონის სამართალდამცავი სტრუქტურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

პრობლემა სხვა რამეა. როგორც ინფორმირებული პირები აცხადებენ, აფხაზური კრიმინალი, რომელიც გალის რაიონის ქვედა ზონაში გატაცებებში იღებს მონაწილეობას, ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის კარგად არის ცნობილი. თუმცა, მათ დაკავებას და "ფაქტზე წასწრებას" ხელს ძალოვან სტრუქტურებში არსებული კორუფცია და გალის რაიონის ქვედა ზონაში აფხაზეთის შსს-ს სტაციონარული პოსტების არარსებობა უშლის ხელს. "მოცემულ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია, ვინმეს დავუმტკიცოთ, შენ ეს გააკეთე. მაგრამ ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია. მათ დასაკავებლად კი, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენებები უნდა გვქონდეს. არ დავიწყებ ახსნას, რატომ ეშინია მოსახლეობას იმის თქმა, თუ ვინ გაქურდა," - აგრძელებს გალის რაიონის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი.

ამავე დროს, გალის საზოგადოება საკუთარ "გმირებს" კარგად იცნობს. სულ რამდენიმე ხნის წინ, "ნუჟნაია გაზეტა"-ში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ სკანდალი გამოიწვია. რაიონის ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელმა ილიკო შადანიამ კრიმინალზე პასუხისმგებლობა გალის რაიონის "ზედა ნაწილის" სოფლების წარმომადგენლებს დააკისრა. საუბარი იყო სოფლების - ოკუმის, ცარჩას, ჩხორტოლის და კახორის მცხოვრებლებზე. ილიკო შადანიამ ამ ხალხს მოუწოდა, შეწყვიტონ კრიმინალურ ბიზნესში მონაწილეობა, ხოლო გალის რაიონის რეგიონულ ადმინისტრაციას კრიმინალზე ადეკვატური რეაგირება მოსთხოვა. გალის ადმინისტრაციამ კი ამის პასუხად აღნიშნა, რომ საუბარი არ უნდა იყოს "სოფლების მაცხოვრებლებზე" და მოითხოვა, თავი შეიკავონ "ეროვნებათაშორისი შუღლის გამწვავებისგან", რამეთუ ამ ხალხის უმეტესობა ეთნიკურად ქართველია.

მეორე მხრივ, დღეს უკვე ძნელი გასარკვევია, ვინ არიან კრიმინალები გალში - ქართველები თუ აფხაზები. "თქვენ მათ თავად ჰკითხეთ, ვინ არიან. რასაკვირველია - აფხაზები. ეს ხომ ახლა მოდაშია. ის კი, რომ ცოტა მათგანმა თუ იცის აფხაზური ენა, ცალკე პრობლემაა. ისინი ყველანი ქართველები და აფხაზები არიან. კრიმინალს ჩვენთან ეროვნება არ აქვს, მას აქვს ინტერესები," - ამბობს გალის მცხოვრები მაკტინა ჯაკონია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ის ზომა, რაც აფხაზეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა გალის რაიონის ქვედა ზონაში დანაშაულის წინააღმდეგ მიიღო, ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა.

*უცხოეთი*

# ვლადიმირ პუტინს პენზაში ქათმის კვერცხითა და მაიონეზით "გაუმასპინძლდნენ"

პირველი გვერდიდან

11 ოქტომბერს პენზაში ვიზიტად მყოფი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიმართულებით ორმა ახალგაზრდამ ქათმის კვერცხი და მაიონეზით სავსე პარკი ისროლა. პუტინს არც ერთი მათგანი არ მოხვედრია. კვერცხი და მაიონეზით სავსე პარკიც პრეზიდენტის ავტომანქანის სიახლოვეს მიწაზე დავარდა. ინციდენტი ლენინის მოედანზე, პენზის რეგიონის სამთავრობო სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სანახავად 400-მდე ადგილობრივი მცხოვრები შეიკრიბა. სამთავრობო სახლში სახელმწიფო საბჭოს გასვლით სხდომაზე დასასწრებად მისულ პუტინს აღნიშნული შემთხვევა არ დაუნახავს, რადგანაც მისი მიმართულებით კვერცხის სროლის დროს პუტინი სამთავრობო სახლში შედიოდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აღნიშნული შემთხვევა არც პრეზიდენტის დაცვას და არც მრავალრიცხოვან კამერებს არ დაუფიქსირებიათ. თუმცა, მოედანზე შეკრებილ უბრალო მოსახლეობას შორის ინციდენტის თვითმხილველები მრავლად არიან. **"კვერცხი და მაიონეზით სავსე პარკი ორმა ახალგაზრდამ ისროლა, რომლებიც მაშინვე ხალხში მიიმალნენ",** - აღნიშნა სტუდენტმა ანდრეი ვოლხოვმა, რომელიც ინციდენტის დროს სამთავრობო სახლის წინ იმყოფებოდა. საგულისხმოა, რომ პუტინის მიმართულებით კვერცხის სროლის შემთხვევა მედიას მაშინვე არ გაუშუქებია.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართულებით კვერცხისა და მაიონეზის სროლის ფაქტი გასულ პარასკევს პენზის ადგილობრივმა ორგანიზაციამ "წითელი ახალგაზრდობის ავანგარდ"-მა თავის თავზე აიღო. ორგანიზაციის წევრთა თქმით, პუტინზე "იერიშის" განსახორციელებლად მათ ლენინის მოედანზე 18 წლის ევგენი სემიონოვი და 21 წლის ალექსანდრე ფილჩაგინი გაგზავნეს. აღნიშნული პიროვნებები ამჟამად არც დაკავებულნი არიან და მათზე არც ძებნაა გამოცხადებული. ფედერალური დაცვის სამსახურის თანამშრომლები კი პენზაში მომხდარ ინციდენტს საერთოდ უარყოფენ. **"პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის პენზაში ყოფნის დროს მსგავსი რამ არ მომხდარა. ეს, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. ჩემი აზრით, ორგანიზაცია "წითელი ახალგაზრდობის ავანგარდის" მიერ გაკეთებული განცხადება საეჭვო პოლიტიკურ პიარს წარმოადგენს",** - აღნიშნა ფედერალური დაცვის სამსახურის პრესსამსახურის უფროსმა სერგეი დევიატოვმა.

ნიშანდობლივია, რომ 11 ოქტომბერს ლენინის მოედანზე კვერცხისა და მაიონეზის სროლის შემთხვევის დაფიქსირებისთანავე სამართალდამცავებმა მოედანზე მყოფი ერთ-ერთი ახალგაზრდა დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მოგვიანებით, გაირკვა, რომ ეჭვმიტანილს მომხდარში არავითარი წვლილი არ მიუძღვოდა, თუმცა ის არ გაათავისუფლეს. პოლიციამ არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტის სტუდენტს არაადეკვატური ქცევის ბრალდება წაუყენა.



*პუტინი პენზაში სახელმწიფო საბჭოს გასვლით სხდომას მართავდა.*

## ნალჩიკზე თავდასხმა ბასაევის ორგანიზებულია

ნალჩიკზე თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ერთ-ერთმა წამყვანმა ჩეჩენმა საველე მეთაურმა შამილ ბასაევმა აიღო. ინტერნეტ-გვერდზე "კავკაზცენტრი" გამოქვეყნებულ წერილში იჩქერიის სამხედრო ამირა აბდალა შამილ აბუ-იდრისი (იგივე შამილ ბასაევი) 13 ოქტომბერს ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქზე თავდასხმის დეტალებს ჰყვება. იგი ამტკიცებს, რომ თავდასხმისას 41 შაჰიდი და რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების, დაახლოებით, 140 თანამშრომელი დაიღუპა, ხოლო 160 დაიჭრა. ბასაევის წერილში ნათქვამია, რომ ოპერაციას ხელმძღვანელობდა "კავკასიის ფრონტის" ყაბარდო-ბალყარეთის სექტორის ამირა სეიფულა. ხოლო თავად ბასაევი საერთო ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

ჩეჩენი საველე მეთაური ამტკიცებს, რომ ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში 15-მდე ობიექტზე 217-მა ბოევიკმა მიიტანა იერიში (რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ თავდასხმაში 100-დან 300-მდე ბოევიკი მონაწილეობდა). ბასაევის განცხადებით, თავდამსხმელთა შორის დიდი დანაკარგი ინფორმაციის გაჟონვით იყო გამოწვეული, რის შემდეგაც კრემლმა ნალჩიკში დამატებით 1000 ჯარისკაცი და ჯავშანტექნიკა შეიყვანა. რუსეთის ოფიციალურ პირთა მონაცემებით, ნალჩიკში ბოევიკებთან შეტაკებებში 24 მშვიდობიანი მოქალაქე და სამართალდამცავი ორგანოების 24 წარმომადგენელი დაიღუპა; ხოლო ბრძოლებში მოკლულ ბოევიკთა რიცხვმა 92 ადამიანი შეადგინა. შეგახსენებთ, ბასაევმა პასუხისმგებლობა აიღო 1995 წელს ბუდიონოვსკში, 2002 წელს მოსკოვში და 2004 წელს ბესლანში განხორციელებულ ტერაქტებზე. 2003 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და გაერო-მ ბასაევი საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეიყვანეს. **24 საათი**

## ვიქტორ იუშენკო: რუსეთში რევოლუცია დროის საკითხია

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო თვლის, რომ თავისუფლების და დემოკრატიის საკითხი რუსეთის მოქალაქეებისთვის კვლავინდებურად აქტუალურია, რუსეთში რევოლუცია კი დროის საკითხია. უკრაინის ლიდერის თქმით, "ნარინჯისფერმა" რევოლუციამ მილიონობით ადამიანს მაგალითი მისცა. **"ხალხი შეიცვალა, რადგან მათ უნიკალური მაგალითი აქვთ იმისა, თუ რა გააკეთა დიადმა ევროპელმა ერმა - უკრაინელმა ერმა",** - განაცხადა იუშენკომ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში. **"დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინული "ნარინჯისფერი" რევოლუციიდან მილიონობით ადამიანმა მშვენიერი დასკვნები გააკეთა. მოჰყვება თუ არა ამას რევოლუცია, შესაძლოა, ეს დროის საკითხი იყოს",** - თქვა იუშენკომ.

უკრაინა-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას იუშენკომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა 20 მილიარდ დოლარს შეადგენს და უკრაინული ექსპორტის 18-20 პროცენტი რუსეთზე მოდის. უკრაინის პრეზიდენტის აზრით, ამ ბაზრის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის "საჭიროა სხვა წესების რეალიზაცია - კერძოდ, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ორგანიზაციის ფარგლებში. ამავე დროს უკრაინა ევროინტეგრაციაზე უარის თქმას არ აპირებს". მან აქვე დასძინა, რომ ევროპის კავშირში ინტეგრაციის კურსი არ ნიშნავს, რომ კიევი "ვინმეს წინააღმდეგ ატარებს პოლიტიკას". **"ეს ჩვენი ეროვნული ინტერესების რეალიზაციის პოლიტიკაა და არა რუსეთის ან სხვა ქვეყნის საწინააღმდეგო პოლიტიკა",** - დაასკვნა უკრაინის პრეზიდენტმა. **ინტერპრესნიუსი**

*ორი სიტყვით*

**ერაყი.** აშშ-ს ავიაციამ ერაყის ქალაქ რამადის მახლობლად ორ დასახლებულ პუნქტზე, სადაც, ამერიკელთა ცნობით, "ბოევიკები" აფარებდნენ თავს, კვირას ღამით სარაკეტო დარტყმა მიიტანა. სააგენტო "ფრანსპრესი", აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ საჰაერო დარტყმის შედეგად ერაყში წინააღმდეგობის მოძრაობის, სულ ცოტა, 70 წევრია განადგურებული. ამერიკელი სამხედროები ირწმუნებიან, რომ 70-ივე დაღუპული ერაყის შეიარაღებული წინააღმდეგობის მეომარი იყო. თუმცა, თვითმხილველთა თქმით, დაღუპულთაგან 39 სამოქალაქო პირი იყო. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ბოევიკთა" აქტივობა 15 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. **რია ნოვოსტი**

■ ■ ■

**თურქეთი.** გუშინ სამი ძლიერი მიწისძვრა მოხდა თურქეთში. ოფიციალური წყაროები იუწყებიან, რომ მიწისქვეშა ბიძგებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ბოლო მიწისქვეშა ბიძგი, რომლის ძალამ რიხტერის შკალით 5,9 ბალი შეადგინა, ადგილობრივი დროით 12.49 საათზე (თბილისის დროით 13.49 საათი) დაფიქსირდა. მისი ეპიცენტრი ეგეოსის ზღვაში, იზმირის პროვინციის სეფერიჰისარის მაზრის მახლობლად მდებარეობდა. დილით და ნაშუადღევს მომხდარი წინა ორი მიწისძვრაც ამ რაიონში მოხდა და მათი ძალა, შესაბამისად, 5,7 ბალს და 5,6 ბალს აღწევდა. გავრცელებული ინფორმაციით, პროვინციის რიგ დასახლებულ პუნქტში ზოგიერთ ადგილას შენობათა კედლები და სახურავები დაზიანდა, ჩამსხვრეულია ფანჯრის მინები. ხელისუფლება ახალი ბიძგების შესაძლებლობას არ გამორიცხავს და ადგილობრივ მცხოვრებლებს ურჩევს, ჯერჯერობით ქუჩაში დარჩნენ. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის, დონალდ მაკლარენის სიტყვა, წარმოთქმული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით

პრეზიდენტო სააკაშვილო, პრეზიდენტო ალიევ, პრეზიდენტო სეზერ:

თავმდაბლობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის ცოდნა, კომპრომისი - ეს არის ის, რაც გამოსადეგია დიდ სტრატეგიულ წამოწყებებში. ეს არაა ის სიტყვები, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებდა ისეთი ადამიანების გონებასა და ხასიათში, როგორებიც იყვნენ ინჟინერი ბრუნელი და სტივენსონი.

ორი დღის წინ კამათი მქონდა ერთ ევროპელ ბანკირთან. აი, სწორედ ამ ღირსებებს იცავდა იგი.

მის საპირისპიროდ მე ვთქვი: ჩვენ შეჯიბრების ჟინით შეპყრობილი და აგრესიული ცხოველები ვართ. თავმდაბლობა აფერხებს შეჯიბრების ჟინს, საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის ცოდნა გზას უკეტავს შემოქმედებას. კომპრომისი შეიძლება გამარჯვების მტრად მოგვევლინოს. ბანკირმა, ალბათ, იცოდა, რასაც ამბობდა. ბოლოს და ბოლოს, იგი ბევრად უფრო მდიდარია და უფრო წარმატებული ვიდრე მე. მაგრამ, ჩვენ ვერ შევთანხმდით. იმ მომენტში ეს ჰგავდა იმ სიტუაციას, რომელიც მოკლედ იყო გადმოცემული ერთ-ერთი ცნობილი ბრიტანული გაზეთის სათაურში რამოდენიმე წლის წინ: "ნისლი და ქარიშხლები ინგლისის სრუტეში. ევროპა იზოლირებულია".

მაშ, როგორ აშენდა ეს ნავთობსადენი? როგორ მოხდა, რომ ამ სტრატეგიულმა წამოწყებამ ასეთი წარმატებული საწყისი ჰპოვა (ანუ როგორც ეს ინგლისურ გამოთქმაშია - get off the ground) (თუმცა, BP-ის შეუდარებელი საინჟინრო საქმიანობის წყალობით, იგი საიმედოდ არის ჩაფლული მიწაში). აი, აქ ჩვენს წინ სამი ამაყი ქვეყანაა: ჩვენი მასპინძელი საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი; და, ასევე, ამაყი კომპანია BP, რომელიც მსოფლიო კლასის კონსორციუმის სათავეში დგას. პესიმისტი იტყოდა: პირადული გრძნობების პოტენციური შეჯახება, საპირისპირო ინტერესები, რომლებიც ერთმანეთსაა გადაჯაჭვული, თითქმის, შეუძლებელ პროექტში.

მაშ, ვინ გაიმარჯვა? - ამ სამი ქვეყნის მოქალაქეებმა გაიმარჯვეს. არც ერთი ორმო მიწაში, არანაირი ფული შორეული, გარეშე ადამიანებისათვის, მხოლოდ ნათელი კვალი: ინფრასტრუქტურის განვითარება, გარემოს დაცვა, ეროვნული პარკი ყველა იმ შესაძლებლობებით და საგანმანათლებლო საშუალებებით, რომელიც დაეხმარება მომავალ თაობას. მარაგის მრავალფეროვნებამ და ენერგიით უზრუნველყოფამ გაიმარჯვა და მათაც გაიმარჯვეს, ვინც თქვა: "არაფერია შეუძლებელი".

ამით BP სამ დიდად მნიშვნელოვან რამეს გვამცნობს: პირველი -მთავრობას, მოსახლეობას და კომპანიებს მარცხი ემუქრებათ, თუკი ისინი ცალ-ცალკე იქნებიან. კომპრომისმა და თანამშრომლობამ განახორციელა ეს პროექტი და იგი ყველასათვის მომგებიანია; მეორე - პროექტი კარგი მართვის თავმდაბლობის და მგრძნობიარობის მაგალითს გვაძლევს; მთავრობა თვითონვე აკმაყოფილებს არა რაღაც წრეგადასულ მოთხოვნებს, არამედ ხალხის კანონიერ ინტერესებს; თავის მხრივ, კომპანიები მოგების მიღმა სამართლიან განსჯას და მდგრადობას ხედავენ. იგრძნობა კიდეც, რომ კარგი კორპორაციული მართვა ყველასათვის მაგალითია. დაბოლოს, ეს არის ის, რამაც მსოფლიოს აუწყა, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ის ქვეყნებია, რომლებიც განახლების გზას ფეხშეწყობით მიჰყვებიან, მათი კარი მსოფლიოსათვის ღიაა და ისინი რეალურ სამყაროში არსებობენ. ეს ბიზნესისათვის გახსნილი ქვეყნებია. როგორ ფიქრობთ, რას ამცნობს ეს ინვესტორების შემდგომ თაობას? პრეზიდენტებო, ნურაფერს ნუ მიიღებთ ისე, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ახლა ის გაკვეთილები გამოგვადგებათ, რომლებიც ჩვენ BP-ის წარმატების შედეგად მივიღეთ.

მაშ, რა შეიძლება ითქვას ჩემს უთანხმოებაზე ევროპელ ბანკირთან? ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას. დიახ, ჩვენ უნდა გვქონდეს შეჯიბრების ჟინი და ვუბიძგოთ ჩვენს თავს, მივიდეთ საკუთარი შესაძლებლობების ზღვრამდე და გავცდეთ მას. მაგრამ, ყოველმა ლიდერმა, იქნება ეს პოლიტიკა თუ ბიზნესი, მაქსიმალური მოგება უნდა ნახოს ყველაფრიდან, რასაც იგი ხელს მოჰკიდებს. აი, ამას მართლაც რომ სჭირდება თავმდაბლობა, მგრძნობიარობა და კომპრომისი. ეს არ არის სისუსტე. ეს ძალაა. ეს საკუთარი ინტერესების დაცვაა და არა ეგოიზმი.

მე-19 საუკუნის დიდი ლიდერები და ინჟინრები - ისინი, ვისაც სჯეროდა, რომ არაფერია შეუძლებელი, დღეს აქ რომ ყოფილიყვნენ, ამას ტრიუმფად შეაფასებდნენ - ყველანაირ დაბრკოლებაზე გამარჯვებად. ეს არ არის მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვა. ეს არის საკუთარი ინტერესების გათვითცნობიერებულად დაცვა და ეს გადამწყვეტია.

ბრიტანეთის მთავრობა გილოცავთ ყველას, ვინც ამას მიაღწია. ეს ისაა, რაც მომავალს სიმტკიცეს ჰმატებს; და ეს უნდა ვიზეიმოთ.

*12 ოქტომბერი, 2005 წელი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თბილისის მთავარი სამმართველოს ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე ვალერი გოგრიჭიანი 300 დოლარის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, გოგრიჭიანი ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილს თანხის გადახდას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - დაკავებით ემუქრებოდა. შს სამინისტრომ ოფიციალური ძებნა კიდევ ერთ თანამშრომელზე სოსო ქარაბაკზე გამოაცხადა. ეს უკანასკნელიც ანალოგიურ დანაშაულშია ეჭვმიტანილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სენაკი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ხობი-სენაკის საავტომობილო გზაზე იარაღის არსენალი ამოიღეს. შს სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა თბილისში მცხოვრები 20 წლის ირაკლი ბართავა, გალის რაიონში მცხოვრები 26 წლის გელა ბართავა და თენგიზ გობავა დააკავეს. მათი პირადი ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებმა სამი "აკმ"-ისა და ერთი "აკს"-ის სისტემის ავტომატი მჭიდით და ვაზნებიანად ამოიღეს. ჩხრეკისას მათ ნარკოტიკული საშუალებაც აღმოაჩნდათ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის აეროპორტში, რეისზე "თბილისი-მოსკოვი" სასაზღვრო საპასპორტო კონტროლის გავლის დროს მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. აღნიშნული პიროვნება შემდგომი რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის პირველი საპყრობილის საამანათო განყოფილებაში პატიმრისათვის ნარკოტიკის შეგზავნის მცდელობის ფაქტზე 23 წლის მამაკაცი დააკავეს. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ეჭვმიტანილის მიერ საპყრობილეში მეგობრისათვის მიტანილ ამანათში, კაკლის სამ ნაჭუჭში დამალული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა აღმოაჩინეს. აღმოჩენილი ნარკოტიკის წონას ექსპერტიზა დაადგენს. საქმეს იუსტიციის სამინიტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს თბილისში, კერძოდ, დიღომში მცხოვრები, 28 წლის ავთანდილ აბჟანდაძე, რომლისგანაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ამოიღეს პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდით და 8 ვაზნით; ასევე, დააკავეს ვარკეთილში მცხოვრები, 27 წლის დავით ჩანჩალაშვილი, რომლისგანაც ამოიღეს 0,235 გრამი ჰეროინი. გამოძიებას აწარმოებს შს პირველი განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს 44 წლის თევდორე რუსია, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში, აბაშიძის ქ. N3-ში, ყოფილ მეუღლეს, 44 წლის მზია პატარაიას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დანით მუცლის არეში დაჭრა ფალიაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 22 წლის გიორგი გენძეხაძე. გამოძიებას აწარმოებს შს პირველი განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გორი.** გორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში, გლდანის მიკრორაიონში მცხოვრებნი - 20 წლის რომან ჯოლოხუა, 20 წლის ბიძინა ფარეშიშვილი, ქვიშხეთის ქუჩაზე მცხოვრები, 21 წლის იოსებ აბულაძე, გლდანის მიკრორაიონში მცხოვრები, 22 წლის გელა კანთელაძე, ქარელის რაიონის სოფ დირბში მცხოვრები, 22 წლის ბეჟან მურაჩაშვილი, რომლებმაც 14 ოქტომბერს თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 33 წლის რაულ მურუსიძეს გასტაცეს ავტომანქანა "მერსედესი". გამოძიებას აწარმოებს გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს მკვლელობისთვის (108-ე მუხლი) ძებნილი, 22 წლის ლევან მარცველაძე, რომელმაც 2000 წლის 31 აგვისტოს გლდანის მიკრორაიონში დანით მოკლა ჯაბა ჯავახია. მარცვალაძისაგან ამოღებულია მისი ფოტოსურათით, ოღონდ მამუკა ჯანიაშვილის სახელზე გაცემული, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. **მედიანიუსი**

# ომბუდსმენის ოფისი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმის შემუშავებას იწყებს

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ გეგმაზე მუშაობა დაიწყო.

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი 17-19 ოქტომბერს სემინარებს გამართავენ, რომელზეც მიწვეულნი არიან სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე - საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მათივე ინფორმაციით, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა ყველა სფეროს მოიცავს და მისი შექმნის ინიციატორი სახალხო დამცველი სოზარ სუბარია. გეგმის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი საქართველოში ლანს კლარკი და რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის პროფესორი ბრაიან ბურდეკინი.

თავად სემინარს კი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) აფინანსებს. ცნობისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმა პირველად ავსტრალიასა და სკანდინავიის ქვეყნებში შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიაში ამ გეგმის შექმნას სწორედ პროფესორი ბრაიან ბურდეკინი ხელმძღვანელობდა. როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ამ გეგმის შემუშავების მიზნით ორგანიზებულ სემინარზე განაცხადა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმის შემუშავებას, სავარაუდოდ, ერთი წელი დასჭირდება.

მისივე თქმით, გრძელვადიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს, სახელმწიფოს პრიორიტეტია და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან მიმართებაში სხვადასხვა სამინისტროების კოორდინირებულ მუშაობას.

სუბარის განმარტებით, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ბაზის მომზადებას, რათა ზუსტად განისაზღვროს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ქვეყანაში აქამდე გაწეული მუშაობა და მის საფუძველზე შემუშავდეს ახალი ეფექტური მექანიზმები.

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის პროექტის მიხედვით, ყველა უწყებაში შეიქმნება სპეციალური აპარატი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს გააკონტროლებს. აღნიშნული რგოლი კი უშიშროების საბჭოს მიერ გაკონტროლდება.

**"ეროვნული გეგმის შემუშავება ერთგვარი ბადის შექმნას გულისხმობს, რომელიც დაგვეხმარება, ვიცოდეთ, რომელი უწყება რას საქმიანობს. ეს ნათელს გახდის, სად გვაქვს დარღვევა, სად არის საჭირო მეტი ძალისხმევა და საით უნდა მივმართოთ ჩვენი ძალები"**, - განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

*24 საათი*

# ეუთო მხარს უჭერს სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმას

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ელჩმა საქართველოში როი რივმა გუშინ ხელი მოაწერეს პროექტს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმის მხარდაჭერას ითვალისწინებს. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოში აშშ-ს, საფრანგეთის, ევროკომისიის, ბრიტანეთის განვითარების სააგენტოს ელჩები და ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმოამდგენლები ესწრებოდნენ.

ხელმოწერილი, ერთწლიანი პროექტის ღირებულება 1,7 მლნ ევროს შეადგენს. იგი ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ფინანსდება და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ახორციელებს.

კემულარიას განცხადებით, სამოქალაქო რეესტრის სისტემაში რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს. აქ დასაქმებულ კადრებს სერიოზული კონკურსი აქვთ გავლილი. მათი მინიმალური ხელფასი 400 ლარია, რომელიც მომავალ წელს კიდევ გაიზრდება. სისტემის თანამშრომლები მოქალაქეებს, "ერთი სარკმლის პრინციპით", ყოველგვარი კორუფციის გარეშე ემსახურებიან.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გაერო-ს განვითარების პროგრამისა და ევროკომისიის ერთობლივი, ექვსთვიანი პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა "იუსტიციის სამინისტროს ქმედითუნარიანობის გაზრდა: სამოქალაქო რეესტრის რეფორმის კომპონენტი", იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ხუთი ოფისი უკვე გარემონტდა და აღიჭურვა.

აშშ-ს განვითარების სააგენტოსა და ეუთო-სთან ხელმოწერილი ახალი პროექტი 20 ტერიტორიული ბიუროს მოწყობასა და აღჭურვას ითვალისწინებს; ამასთან, შემუშავდება კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სამოქალაქო რეესტრის სისტემას ერთიანი ქსელით უზრუნველყოფს.

როგორც კემულარიამ აღნიშნა, სამოქალაქო რეესტრის რეფორმას სრული მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოს მხრიდანაც. ამ მიმართულებით 2006 წლის ბიუჯეტი 1 მლნ ლარით გაიზარდა.

რეფორმის ფარგლებში იგეგმება პირადობის მოწმობების შეცვლა ელექტრონული ბარათებით.

**"იუსტიციის სამინისტრო ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს დონორ ორგანიზაციებთან. ჩვენ გვსურს, რომ ელექტრონული ბარათები უფასოდ მივცეთ მოქალაქეებს. ეს ცვლილება სხვა პრობლემების მოგვარებასთან ერთად სახელმწიფოს დაეხმარება ზუსტი საარჩევნო სიების ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო დემოკრატიულს გახდის საარჩევნო პროცესს"**, - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

*24 საათი*

# სპეცოპერაცია ფონიჭალაში

ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი მამაშვილი ალახვერდოვები დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ეჭვმიტანილმა ალახვერდოვებმა დაკავების დროს სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ალახვერდოვების დაკავების დროს ე.წ. ხუთ ბაშად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ამოიღეს. გარდა ამისა, მათვე აღმოაჩნდათ ქიმიური ხსნარით დამუშავებული ფული - სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილების დაკავებამდე ე.წ. საკონტროლო შესყიდვა განახორციელეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეს შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი იძიებს.

*ინტერპრესნიუსი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის მთავრობა (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად.

**ლოტიN1** გოროდოკის დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტიN2** თამარ მეფის გამზირზე პარაპეტის მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტიN3** ხიმშიაშვილის ქუჩაზე ელექტროკაბელების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტიN4** N9 საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ლოკალური სისტემის მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტიN5** სულაბერიძის ქუჩის წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

**ლოტიN6** ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები (დალუქულ კონვერტში) ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 3 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

გ) ლიცენზია შესაბამისი სამუშაოების განხორციელებაზე;

დ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს. საკვალიფიკაციო შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება დაინტერესებული პირის გამოცდილებას.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (იმ ვადებში, რომელსაც შემსყიდველი დამატებით შეუთანხმებს), 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის მთავრობის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

12 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: არმაზ ვარშალომიძე ტ. 7-66-40, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*

# ინფორმაცია ნავსადგურის სასამართლო დავების შესახებ

1. როგორც ცნობილია, "სარკინიგზე/საბორნე ნავმისადგომის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ" 1997 წლის 5 ნოემბრის ხელშეკრულების გაუქმების მიზნით ნავსადგურმა 2004 წლის 30 ივლისს შპს "ბათუმი ინტერპრაისიზ"-ის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი სასამართლოში. ნავსადგურისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სასამართლო პროცესი დღემდე არ გამართულა.

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გაიმართა აღნიშნულ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა (მოსამართლე ჯ. ბეჟანიძე), რომელსაც ესწრებოდა ნავსადგურის ადვოკატი ვ. ხახუტაიშვილი. მთავარი სხდომა დაინიშნება უახლოეს მომავალში.

2. მოგეხსენებათ, შპს "ბათტრანსის" სასარგებლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 13.04.2005 გამოტანილი გადაწყვეტილება ნავსადგურმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა რ უმაღლეს სასამართლოში. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ თავისი 07.07.2005 წლის განჩინებით დააკმაყოფილა ნავსადგურის თხოვნა, გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. შპს "ბათტრანსმა", კოლეგიის ხსენებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. აჭარის ა რ უმაღლესი სასამართლოს 09.09.2005 წლის ცნობით საქმე გადაგზავნილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატაში.

ამავდროულად, როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნავსადგურმა 15.06.2005 წლის N774-08/23 წერილით მიმართა დახმარებისათვის აჭარის ა რ პროკურატურას, ვინაიდან ნავსადგურის აზრით, "IVECO"-ს ტიპის მინიბუსებთან დაკავშირებით ადგილი აქვს დანაშაულებრივ გარიგებას. მიმდინარე წლის 09 აგვისტოს ნავსადგურმა აჭარის ა რ პროკურატურიდან მიიღო წერილი N03/31/11-384, რომლითაც გვატყობინებენ, რომ 1999 წელს საზღვაო ნავსადგურის კუთვნილი 240000აშშ დოლარით შესყიდული 10 მინიბუსის შპს "ბათტრანსის" სახელზე უკანონო რეგისტრაციის საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სსსკ 332-ე მუხლის I ნაწილით.

3. თბილისის საოლქო სასამართლოში განიხილება საქმე საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 29.09.2004 წლის დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ"-ს ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით, სადაც ნავსადგური ჩართულია როგორც მესამე პირი. ნავსადგურმა წარადგინა თავისი მოსაზრებები "ოილ ტერმინალის" სარჩელთან დაკავშირებით, რითაც მხარი არ დაუჭირა მათ მოთხოვნას კონტროლის პალატის აქტის ზოგიერთი პუნქტის გაუქმების თაობაზე.

გამოძახების შესაბამისად ნავსადგურის წარმომადგენლები რამდენიმეჯერ მივლინებულნი იყვნენ საოლქო სასამართლოში ხსენებულ პროცესზე, მაგრამ სხდომები გადაიდო სხვადასხვა მიზეზების გამო და საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

4. საქართველოს კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე შპს "რუსეთის საზღვაო რეგისტრს საქართველოში" ნავსადგურის სასარგებლოდ დაეკისრა 11 844 ლარის გადახდა. საზღვაო რეგისტრი ნებაყოფლობით არ იხდის აღნიშნულ დავალიანებას, ამდენად ნავსადგურმა 16.06.2005 წელს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით. სასამართლო სხდომა ჯერჯერობით დანიშნული არ არის (მოსამართლე ზ. სურმანიძე).

5. 2004 წლის 19 ოქტომბერს ნავსადგურის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი დებიტორების - შპს "დავიმპექსისა" და შპს "მეტალის" მიმართ, შესაბამისად 4239.36 აშშ დოლარისა და 1101.8 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. სასამართლომ მიიღო სარჩელი და საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ა. ფაღავას. ამ მოსამართლის სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ საქმე გადაეწერა მოსამართლე ზ. სურმანიძეს, რომელსაც სასამართლო პროცესი ამ დროისათვის არ დაუნიშნია.

6. შრომითი დავა - მიმდინარე წლის 21 აპრილს შოთა თოფრიამ, რომელსაც ეკავა ნავსადგურის ცენტრალური საწყობის გამგის თანამდებობა და გათავისუფლებული იქნა დანაკლისის გამო ნდობის დაკარგვის საფუძვლით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნავსადგურის წინააღმდეგ.

მიუხედავად საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებებისა, რაც საფუძვლად უდევს ამ საქმეს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი - შ. თოფურიას აღუდგინა გაშვებული ხანდაზმულობის ვადა, აღადგინა საწყობის გამგის თანამდებობაზე და ნავსადგურს დააკისრა ნაცდურის ანაზღაურება.

ნავსადგურმა სააპელაციო წესით აჭარის ა რ უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 18 მაისის გადაწყვეტილება. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, 01.08.2005 წელს გამოიტანა განჩინება, რითაც არ დააკმაყოფილა ნავსადგურის, როგორც აპელანტის მოთხოვნა. უფრო მეტიც, მიუხედავად ნავსადგურის საფუძვლიანი არგუმენტებისა, დააკმაყოფილა შ. თოფურიას განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, რაზედაც ნავსადგურმა შეიტანა კერძო საჩივარი. საკასაციო წესით გასაჩივრდა ასევე, უმაღლესი სასამართლოს განჩინებაც. ამ ეტაპზე საქმე გადაგზავნილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

7. შრომითი დავა -ირაკლი ცივაძემ, რომელსაც ეკავა ნავსადგურის მთავარი ინჟინრის თანამდებობა და გათავისუფლებული იქნა სამუშაოდან შტატის გაუქმების საფუძვლით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნავსადგურის წინააღმდეგ.

ნავსადგურმა სასამართლოში წარადგინა დასაბუთებული შეპასუხება ი. ცივაძის სარჩელთან დაკავშირებით, ასევე სასამართლო პროცესზე ჩამოაყალიბა შესაბამისი არგუმენტები, მაგრამ სასამართლომ გადაწყვიტა საქმე შემდეგნაირად - ცივაძე აღადგინა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო თვით მთავარი ინჟინრის შტატის აღდგენაზე უარი უთხრა უსაფუძვლობის გამო. Mამავე დროს, ნავსადგურს დაეკისრა ნაცდურის ანაზღაურებაც.

ი. ცივაძემ მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 07 აპრილის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, მაგრამ მოსამართლემ (ხამაშურიძე) მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ნავსადგურმა სააპელაციო წესით აჭარის ა რ უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 07.04.2005წლის გადაწყვეტილება. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, არ გაიზიარა ნავსადგურის არგუმენტები და 17.06.2005 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება ნავსადგურის სააპელაციო საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ, რითაც უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ნავსადგურმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა საკასაციო სარჩელი ამ საქმესთან დაკავშირებით. ამა წლის 14 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მივიღეთ უწყება, რომ შესაბამისი პალატა ნავსადგურის საკასაციო საჩივარს, სსკ 408-ე მუხლის შესაბამისად, განიხილავს მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი განხილვის გარეშე.

8. შრომითი დავა - გიორგი სხვიტარიძის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და ნაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. მას ეკავა ეკონომიკური სამსახურის უფროსის თანამდებობა და რეორგანიზაციის შედეგად მისი საშტატო ერთეული გაუქმდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ (მოსამართლე ნ. ვაშაყმაძე )დააკმაყოფილა გ. სხვიტარიძის თხოვნა, რაც ნავსადგურის მიერ გასაჩივრებული იქნა აჭარის ა რ უმაღლეს სასამართლოში. მიმდინარე კვირაში კოლეგიის მიერ დანიშნულია საქმის განხილვა.

9. შრომითი დავა - გ. სურმანიძე, რომელიც მუშაობდა ნავსადგურის იურისკონსულტად საკონტრაქტო პირობებით, გათავისუფლებული იქნა სამუშაოდან კონტრაქტის ვადის გასვლასთან დაკავშირებით. მან ადმინისტრაციის აღნიშნული ქმედება სასამართლოში გაასაჩივრა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. ვაშაყმაძემ დააკმაყოფილა სასარჩელო განცხადება, რისი სარეზოლუციო ნაწილიც გამოცხადებული იქნა სასამართლო სხდომაზე. რაც შეეხება დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას, მიუხედავად ჩვენი არაერთი ზეპირი თუ წერილობითი მიმართვისა იგი ჯერჯერობით ნავსადგურზე ჩაბარებული არ არის.

*იურიდიული განყოფილების უფროსი*
*ი. დიდმანიძე*

ფეხბურთი

# ლიგის ძველი ნაცნობები

უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მესამე ტურის შემდეგ ჯგუფებში ვითარება ალბათ გაირკვევა. დღეს და ხვალ დამთავრებული მატჩებით შესაძლოა, რიგი გუნდები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ტურნირის მერვედფინალებს. ექვსმა გუნდმა საწყის მატჩებში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და მასზე გაჩერებასაც არ აპირებს.

**ჩემპიონთა დუელი**

არავისთვის საკამათო არ უნდა იყოს, რომ ყველაზე საინტერესო მატჩი შედგება მიუნხენში, სადაც გერმანიის ჩემპიონი "ბავარია" უმასპინძლებს იტალიის საუკეთესო გუნდს ტორინოს "იუვენტუსს". თითოეულ გუნდს ლიგაში წაუგებელი თამაშების სერია აქვს, გადალახეს რა A ჯგუფის ორი სხვა მონაწილე - "ბრიუგე" და ვენის "რაპიდი". ბუნებრივია, "ბავარიაც" და "იუვენტუსიც" გამარჯვებათა სერიის გაგრძელებაზე ოცნებობენ, რათა ჯგუფში პირველობისთვის საკუთარი შანსები გააორმაგონ. საგულისხმოა, რომ ეს მეტოქეები ერთმანეთს უკვე შეხვედრიან ანალოგიურ ვითარებაში - გასულ სეზონზე "ბებერი ქალბატონი" ორჯერ მინიმალური უპირატესობით დაწინაურდა ბავარიელებზე.



პაველ ნედვედი "ბაიერნის" წინააღმდეგ მთავარი ძალა იქნება.

**"არსენალის" უპირატესობა**

ჯგუფის სხვა შეხვედრაში ვენის "რაპიდი" შინ უმასპინძლებს "ბრიუგეს". აქედან ერთ-ერთი აუცილებლად აიღებს პირველ ქულას. ჯერჯერობით "რაპიდიც" და "ბრიუგეც" უქულოდ არიან. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ორივე მათგანი უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებს. ამავე დღეს B ჯგუფის ლიდერი "არსენალი" პრაღის "სპარტას" ეწვევა. რაც შეეხება "ტიუნს", რომელმაც ჩეხეთის ჩემპიონი 1:0 დაამარცხა, ამსტერდამში "აიაქსს" გაეჯიბრება.

**"ბარსა" აღმავლობის გზაზეა**

C ჯგუფის საუკეთესო გუნდი "ბარსელონა", რომლის აქტივშიც 6 ქულაა, ათენში "პანათინაიკოსს" შეხვდება. მეორე ადგილზე მყოფმა "უდინეზემ" მეორე ტურში "კამპ ნოუზე" 1:4 წააგო. ასე რომ, იტალიელები "ბარსასთან დიდი ანგარიშით წაგების გამო შინაურ კედლებში ბრემენის "ვერდერთან" შეხვედრაში რეაბილიტირებას შეეცდებიან. ბრემენელები კი უქულოდ არიან.

D ჯგუფში "მანჩესტერ იუნაიტედი" "ლილს" მიიღებს, ხოლო "ვილიარეალი" საკუთარ მინდორზე "ბენფიკას" დაუპირისპირდება.

**"ლიონის" ლიდერობა**

ოთხშაბათს E და H ჯგუფების შეხვედრები გახურდება. ამ ჯგუფებში შესაძლოა, ორმა გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმოს. საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" F ჯგუფში ლიდერობს, ანუ მადრიდის "რეალზე" და "რუსენბორგზეა" დაწინაურებული. ჟერარ ულიეს ქვეშევრდომებს ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ ჩემპიონებთან და საბერძნეთის თასის გამარჯვებულ "ოლიმპიაკოსთან", რომელიც, თავის მხრივ, ორ მატჩში დამარცხდა. "სამეფო კლუბმა" ორი კვირის წინათ გადალახა ბერძნული ბარიერი, ახლა კი წარმატებას შინაურ კედლებში "რუსენბორგთან" შეეცდება.

**"ინტერნაციონალეს" სიძლიერე**

H ჯგუფში "ინტერმა" ერთნაირი ანგარიშით - 1:0 ორი შეხვედრა მოიგო. იტალიელებმა "არტმედიას" და "რეინჯერსს" სძლიეს. ახლა მილანელებს 2003/04 წლების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ "პორტუსთან" უწევთ ორთაბრძოლა. პორტუგალიელები ლიგის ორივე მატჩში ერთნაირი ანგარიშით - 2:3 დამარცხდნენ. სხვათა შორის, "ინტერი" და "პორტუ" შარშან მერვედფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვებული "ინტერი" გამოვიდა. იტალიელთა თავდამსხმელმა ადრიანომ ჰეთთრიკი შეასრულა.

"აიბროქსზე" შოტლანდიის "რეინჯერსი" "არტმედიას" ხვდება.

**ძველი ნაცნობები**

ჩემპიონთა ლიგის 2004/05 წლების გათამაშების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები შედგება E ჯგუფში. "მილანი" პსვ-ს უმასპინძლებს. "მილანი" ჯგუფში ლიდერობს, ხოლო "ფენერბახჩე" და პსვ კარლო ანჩელოტის გუნდს ერთი ქულით ჩამორჩებიან.

თურქები შინ უმასპინძლებენ ლევან კობიაშვილის "შალკე 04"-ს. G ჯგუფში ორი საინტერესო მატჩი გაიმართება. ჟოზე მოურინიოს "ჩელსი" შინ შეხვდება იორენს სერ ფერერას "ბეტისს". აღსანიშნავია, რომ ორივე სპეციალისტი თავის დროზე ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით "ბარსელონას" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა.

ევროპის ჩემპიონი "ლივერპული" ბელგიაში უქულო "ანდერლეხტს" დაუპირისპირდება.


თი ბი სი ბანკი პლასტიკურ ბარათებს უბრუნებს თავის ძირითად, საკრედიტო ფუნქციას!

თი ბი სი ბანკის საკრედიტო ბარათები...
სესხის აღების მარტივი, თანამედროვე და მოსახერხებელი საშუალება.

საკრედიტო ბარათის უპირატესობები:

- კრედიტი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში, მსოფლიოს მილიონობით მაღაზიასა და ბანკომატში;
- კრედიტის გამოყენება შეგიძლიათ ნებისმიერი მიზნობრიობით;
- უზრუნველყოფა არ მოითხოვება;
- თქვენთვის დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში თქვენ შეგიძლიათ აიღოთ, დაფაროთ და შემდეგ ხელახლა აიღოთ კრედიტი.

ყურადღება!!! 5 დღიანი საშეღავათო პერიოდი!

საკრედიტო დავალიანების წარმოქმნიდან 5 დღის განმავლობაში სესხის მთლიანად დაფარვის შემთხვევაში, თქვენს ანგარიშს პროცენტი საერთოდ არ დაერიცხება!
(ანუ თქვენ ისარგებლებთ 0%-იანი სესხით.)

საკრედიტო ბარათის პირობები:

კრედიტის თანხა: 200-დან 10,000 აშშ დოლარამდე
საპროცენტო განაკვეთი: წლიური 23%*

* პროცენტი მოიცავს უზრუნველყოფის, უპირველესი შემთხვევით გამოწვეულ დროებით ან მუდმივ შრომისუუნარობის და სიცოცხლის დაზღვევას.

თქვენ შეგიძლიათ დღესვე შეუკვეთოთ საკრედიტო ბარათი:
თუ თქვენი შემოსავალი შეადგენს მინიმუმ 300 აშშ დოლარს და ამასთან,

- გაქვთ კარგი საკრედიტო ისტორია ან გერიცხებათ ხელფასი რომელიმე ბანკში;
ან
- ბრძანდებით თიბისი ბანკის კლიენტი კომპანიის დამფუძნებელი, მენეჯმენტის წევრი ან თანამშრომელი;
ან
- გაქვთ მაღალი ბრუნვა ანგარიშზე თიბისი ბანკში.




ნუ დააყოვნებთ! დღესვე მიმართეთ თიბისი ბანკის ნებისმიერ თბილისის ფილიალს, ან შეავსეთ ელექტრონული განაცხადი ჩვენს ინტერნეტ გვერდზე.
www.tbcbank.com
ტელ: 27 27 27


GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის ანდრიაწმინდის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ანდრიაწმინდის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი, სოფელ ანდრიაწმინდის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხვიჩა ტაბახაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4 400** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი, სოფელ ანდრიაწმინდის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ხვიჩა ტაბახაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 ნოემბერს 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის მლაშეს საკრებულოს წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის მლაშეს საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **მლაშეს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელ მლაშეს გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: იზო გავაშელი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელ მლაშეს გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: იზო გავაშელი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 22 ნოემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის და თანამშრომლებისათვის ცხელი და ცივი სასმელების 2 ერთეული ავტომატური დანადგარის საშუალებით მიწოდებაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და ფლობს შესაბამის ავტომატურ დანადგარებს.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და წინადადება (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 1 ნოემბრის $12^{00}$-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 1 ნოემბერს $12^{00}$-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება 10 დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09, ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის ატრიბუტიკის (პარლამენტის დროშა, პარლამენტის წევრის სამკერდე ნიშანი და პარლამენტის ლოგო) შექმნაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და წინადადება (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 1 ნოემბრის $12^{00}$-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 1 ნოემბერს $12^{00}$-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულ(ებ)ს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულება ნამუშევრების შესყიდვაზე გაფორმდება 10 დღის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულ(ებ)ისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09, ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს სტაჟიორთა მიღებას საბაჟო დეპარტამენტში

**სტაჟირებაზე დაიშვებიან მხოლოდ ვეტერინარული და აგრონომიული განათლების (მცენარეთა დაცვის სპეციალობით) მქონე კანდიდატები.**

**სტაჟირების გავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, 2 ცალი ფოტოსურათი**

**განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი.**

**საბუთები მიიღება ყოველდღე 10 დან 18 საათამდე მისამართებზე:**

**ქ. თბილისი - აბაშიძის ქ. N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ტელ 22-68-06**

**ქ. თბილისი - ორხევი, აბზიანიძის ქ. N4 საბაჟო დეპარტამენტი. ტელ 76-88-83**

**ქ. ბათუმი - საბაჟო დეპარტამენტი, შავშეთის ქ. N4 ან გოგებაშვილის 60. ტელ 3-13-90**

**სტაჟიორთა ადგილების რაოდენობა შეზღუდულია**

## გამოფენა

სამშაბათს, 18 ოქტომბერს 17 საათზე გაიხსნება კონკურსში "ხელოვნების უბანი-სამუზეუმო ქუჩა" მონაწილე არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა ლადო გუდიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის გენერალური გეგმის შემუშავება, მისი განვითარების ძირითადი გზებისა და პრინციპების განსაზღვრა.

ქ. თბილისის მერიის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით დაარსდა ფონდი "ხელოვნების უბანი-სამუზეუმო ქუჩა", რომლის მიზანია შეიმუშაოს ხედვა და ხელი შეუწყოს თბილისის ცენტრში ლადო გუდიაშვილის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას, რათა იგი ჩამოყალიბდეს ხელოვნების უბნად სამუზეუმო ქუჩის ბაზაზე.

არქიტექტურული კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა ჩატარდება 18-დან 29 ოქტომბრის ჩათვლით ხელოვნების ეროვნული მუზეუმის მეორე სართულზე.

მისამართი: ლ. გუდიაშვილის 1 (პუშკინის სკვერთან)

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ბაღდათის რაიონი სოფელ ობჩა I ამბულატორიის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ბაღდათის რაიონის ობჩა I - ის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **Oობჩა I-ის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ბაღდათის რაიონი, სოფელ Oობჩა I-ის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ბესარიონ სირბილაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 24 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ბაღდათის რაიონი, სოფელ ობჩა I-ის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ბესარიონ სირბილაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 24 ნოემბერს 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ პატარა პამაჯის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის პამაჯის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან,** რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **პამაჯის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი, სოფელ პამაჯის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ინგა ერემიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 ოქტომბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი, სოფელ პამაჯის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ინგა ერემიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 ნოემბერს 12:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზესტაფონის რაიონის გამგეობა, (ქ. ზესტაფონის, წერეთლის ქუჩა N11, ტელ. 5-28-28, ფაქსი (8292) 5-53-23) აცხადებს ღია ტენდერს ზესტაფონის რაიონში სოფელ მეორე სვირში N1 საშუალო სკოლის მშენებლობაზე.

2. სამუშაოს შესრულების ვადაა 2006 წლის 1 აგვისტო.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა: სოფელ მეორე სვირის N1 საშუალო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა, სანიტარული კვანძისა და ეზოს შემოღობვით.

4. დაინტერესუბულმა ფიზიკურმა და/ან იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. (ორი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი უნდა წარმოადგენდეს ორიგინალს ან დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 18 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად 10:00 საათიდან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11, რაიონის გამგეობის შენობის მესამე სართული, ოთახი N2.

5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

5.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, Aარ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმია-ნობასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის.

5.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმეთა წარმოება.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) იურიდიულ/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე. (ნორმატიულად დამოწმებუილი ასლი).

გ) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

დ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშვალებების და სხვა საშუალებების შესახებ. დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ე) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წლების მიხედვით), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წლების მიხედვით).

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული ბოლო სამი წლის ანგარიშები ან ნოტარიულად დამოწმებული ასელბი. (იურიდიული პირისათვის ბალანსი, ფიზიკური პირისათვის დეკლარაცია).

ზ) ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთ-ერთი წლის წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 4 000 000 (ოთხმილიონ) ლარს.

6. იურიდიული და/ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი წინამდებარე განცხადების მე-4 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს წინამდებარე განცხადებას მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას ან ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი თუ ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ 2005 წლის 18 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N11 რაიონის გამგეობის შენობა, მესამე სართული ოთახი N2, სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

8. ქართულ ენაზე შედგენილი წინადადება წარდგენილი უნდა იქნას 2005 წლის 12 ნოემბერს 12 საათზე შემდეგ მისამართზე, ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N11 რაიონის გამგეობის შენობის მე-3 სართული, ოთახი N2. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და/ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

9. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება შემდეგ ანგარიშზე. ზესტაფონის რაიონული ბიუჯეტი ანგარიშის N ***33030001 "სახალხო ბანკის ზესტაფონის ფილიალი"*** კოდი ***220101433***. სატენდერო მოსაკრებლის კოდი ***4040***.

10. დამატებით ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონის წერეთლის ქ. N11 რაიონის გამგეობის შენობა, მე-3 სართული, ოთახი N2.

სატენდერო კომისია

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სააქციო საზოგადოება "მადნეული" ბოლნისის რ-ნი, დ.კაზრეთი, საიდენტიფიკაციო კოდი 225358341, ა/ა N 3406000029, სს "საქართველოს ბანკი", კოდი 220101502 აცხადებს ღია ტენდერს საკუთარი სახსრებით ფოლადის ნაკეთობების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტის N | დასახელება | განზ. | რაოდენობა | მიწოდების ვადები და ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ლოტი N1 | სფერული ფოლადის ბურთულები (სახსტ-7524-64 ); | | | არა უგვიანეს 15.1.2006 |
| | 1. დიამეტრი 60მმ (400HB-ზე) ცვეთადობა არაუმეტეს 400გრ/ტ | ტნ | 240000 | |
| | 2. დიამეტრი 100მმ (350HB-ზე) ცვეთადობა არაუმეტეს 1000გრ/ტ | ტნ | 240000 | |
| | 3. დიამეტრი 120მმ (300HB-ზე) ცვეთადობა არაუმეტეს 1000გრ/ტ | ტნ | 240000 | დ.კაზრეთი |
| ლოტი N2 | წისქვილის МШР 3,2Х3,1 ამონაგები – ფოლადი 110 Г 13 Л სახსტ - 2176-77; ცვეთადობა არაუმეტეს 110გრ/ტ | კომპ | 3 | |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ნებისმიერ უცხო ენაზე ნოტარიუსით დამოწმებული ქართული თარგმანით) 2005 წლის 28 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00-დან 18:00-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი);

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან და შესაბამისი საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

3.2 **ფიზიკური პირისათვის (ინდივიდუალური მეწარმისათვის):**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ბ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ შსს-დან. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი);

ბ) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობის სატენდერო გადასახადის გადახდის შემდეგ (შემსყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე) შეეძლებათ 2005 წლის 2-3 ნოემბერს 10-დან 18 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი).

6. სატენდერო წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ 2005 წლის 7 -8 ნოემბერს 17 სთ-მდე მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი). სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. .N154, XI სართული (სს "მადნეულის" თბილისის ოფისი) ან ტელეფონებით: 910321; 506102; 506101; 940649 დამატება 140. საკონტაქტო პირები: დავით ადვაძე (მობილური ტელეფონი 899119454) და ირაკლი ქვარაია (მობილური ტელეფონი 899713971).

სატენდერო კომისია

# თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბიპი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი გამომდინარე;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა ხუთშაბათი, 2005 წლის 20 ოქტომბერი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

bp btc SCP South Caucasus Pipeline

# ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემაზე აუქციონის ჩატარების შესახებ

"ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

თელავის, კასპის, თიანეთის, ზემო სვანეთის, ამბროლაურის, ცაგერის საჩხერის, ბაღდათი-ვანის და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის მთავარი სარგებლობის ტყეკაფები.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 18 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 16 ნოემბერს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

აუქციონზე დასახელებული საბოლოო ფასის გადახდის მაქსიმალური ვადა განისაზვროს ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

**მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.**
**T46-50-08.**

### 2005 წელს მოსამარაგებლებზე დასამაგრებელი ტყეკაფების ნუსხა

| № | სატყეო მეურნეობა | სატყეო | კვარტალი | უბანი | ფართობი, ჰა | მერქნიანი | ხარისხი | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კბმ | | | | ახალი გზის მშენებლობა კმ | საწყისი ფასი | ბე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სამასალე | საშეშე | შეშა ნარჩენიდან | სულ | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 1. | ამბროლაური | ნიკორწმინდა | 12 | 2 | 23.0 | წიფ. | III | 1047 | 770 | 189 | 2008 | 0.8 | 32469 | 6494 |
| 2 | თიანეთი | ახალსოფელი | 33 | 4 | 9.0 | " | IV | 132 | 200 | – | 332 | 0.7 | 3391 | 678 |
| | | | 56 | 7 | 7.0 | " | IV | 81 | 122 | – | 203 | – | 2078 | 416 |
| | | | 59 | 2 | 19.0 | " | IV | 117 | 176 | – | 293 | 0.5 | 3002 | 600 |
| | | | სულ | | 35.0 | " | IV | 330 | 498 | – | 828 | 1.2 | | |
| | | თიანეთი | 10 | 7,12 | 40.0 | " | IV | 355 | 320 | – | 675 | 0.5 | 8551 | 1710 |
| | | | 38 | 47 | 10.0 | " | IV | 107 | 102 | – | 209 | 0.6 | 2592 | 518 |
| | | | სულ | | 50.0 | " | IV | 462 | 422 | – | 884 | 1.1. | | |
| | | ბოჭორმა | 25 | 7,9,10 | 32.0 | " | IV | 230 | 258 | – | 488 | 0.8 | 5673 | 1135 |
| | | | 27 | 13 | 11.0 | " | IV | 236 | 115 | – | 351 | 0.5 | 5430 | 1086 |
| | | | სულ | | 43.0 | " | IV | 466 | 373 | – | 839 | 1.3 | | |
| | | სიონი | 46 | 10 | 14.0 | " | IV | 86 | 81 | – | 167 | 0.8 | 2080 | 416 |
| | | | 46 | 12 | 12.0 | " | IV | 83 | 80 | – | 163 | – | 2013 | 403 |
| | | | 47 | 4 | 6.0 | " | IV | 85 | 80 | – | 165 | – | 2057 | 411 |
| | | | 47 | 10 | 9.0 | " | IV | 157 | 150 | – | 307 | 0.6 | 3804 | 761 |
| | | | 63 | 5 | 12.0 | " | IV | 84 | 81 | – | 165 | 0.5 | 2037 | 407 |
| | | | 19 | 2 | 16.0 | " | IV | 107 | 98 | – | 205 | 0.8 | 2582 | 516 |
| | | | სულ | | 69.0 | " | IV | 602 | 570 | – | 1172 | 2.7 | | |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 197.0 | | | 1860 | 1863 | – | 3723 | 6,3 | | |
| 3 | თელავი | ფშაველი | 37 | 10 | 8.0 | " | IV | 296 | 214 | 51 | 561 | 0.5 | 7126 | 1425 |
| | | | 37 | 5 | 7.0 | " | IV | 197 | 107 | 30 | 334 | 0.5 | 4640 | 928 |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 15.0 | | | 493 | 321 | 81 | 895 | 1.0 | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | |
| 4 | ზ. სვანეთი | ორმელეთი | 65 | 13 | 24.0 | წიწვ | IV | 833 | 327 | 75 | 1235 | 0.5 | 7942 | 1588.4 |
| | | | 89 | 3 | 34.0 | წიფ | IV | 303 | 196 | 50 | 549 | 0.5 | 7229 | 9631(1926) |
| | | | | | | წიწვ | | 244 | 142 | 19 | 405 | | 2402 | |
| | | | სულ | | 34.0 | | | 547 | 338 | 69 | 954 | 0.5 | | |
| | | | 105 | 4 | 26.0 | წიწვ | IV | 376 | 212 | 29 | 617 | 0,5 | 3688 | 11962 (2392) |
| | | | | | | წიფ | | 351 | 192 | 55 | 598 | | 8274 | |
| | | | სულ | | 26.0 | | | 727 | 404 | 84 | 1215 | 0.5 | | |
| | | | 15 | 4 | 26.0 | წიფ | IV | 225 | 179 | – | 404 | 1.0 | 5358 | 10506 (2101) |
| | | | | | | წიწვ | | 496 | 401 | 79 | 976 | | 5148 | |
| | | | სულ | | 26.0 | | | 721 | 580 | 79 | 1380 | 1.0 | | |
| | | ხუდონი | 9 | 7 | 45.0 | წიფ | IV | 279 | 180 | 31 | 490 | 0.5 | 6615 | 7247(1449) |
| | | | | | | წიწვ | | 64 | 26 | 18 | 108 | | 632 | |
| | | | სულ | | 45 | | | 343 | 206 | 49 | 598 | 0.5 | | |
| | | | 95 | 3 | 4.0 | წიფ | IV | 209 | 233 | 44 | 486 | 3.0 | 5266 | 1053 |
| | | | 95 | 4ა | 14.0 | წიფ | IV | 436 | 480 | 85 | 1001 | 3.5 | 10952 | 15291(3058) |
| | | | | | | წიწვ | | 464 | 138 | 37 | 639 | | 4339 | |
| | | | სულ | | 14.0 | | | 900 | 618 | 122 | 1640 | 3.5 | | |
| | | ხუბერი | 95 | 4 | 13.0 | წიფ | IV | 313 | 220 | 50 | 583 | 3.0 | 7508 | 10558(2111) |
| | | | | | | წიწვ | | 331 | 76 | 23 | 430 | | 3050 | |
| | | | სულ | | 13.0 | | | 644 | 296 | 73 | 1013 | 3.0 | | |
| | | | 101 | 5 | 13.0 | წიფ | IV | 376 | 358 | 78 | 812 | 4.0 | 9311 | 9891(1978) |
| | | | | | | წიწვ | | 65 | 9 | – | 74 | | 580 | |
| | | | სულ | | 13.0 | | | 441 | 367 | 78 | 886 | 4.0 | | |
| | | ჭუბერი | 60 | 8 | 20.0 | წიფ | IV | 364 | 513 | 70 | 947 | 0.2 | 9434 | 10729(2145) |
| | | | | | | წიწვ | | 127 | 83 | 27 | 237 | | 1295 | |
| | | | სულ | | 20.0 | | | 491 | 596 | 97 | 1184 | 0.2 | | |
| | | ხაიში | 111 | 4 | 28.0 | წიფ | IV | 401 | 241 | 50 | 692 | 0.5 | 9476 | 11712(2342) |
| | | | | | | წიწვ | | 232 | 96 | 30 | 358 | | 2236 | |
| | | | სულ | | 28.0 | | | 633 | 337 | 80 | 1050 | 0.5 | | |
| | სახეობების მიხედვით | | | | | წიფ | IV | 3257 | 2792 | 513 | 6562 | 15,7 | | |
| | | | | | | წიწვ | | 3232 | 1510 | 337 | 5079 | | | |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 247,0 | სულ | | 6489 | 4302 | 850 | 11641 | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | |
| 5 | საჩხერე (ქუთაისის უბანი) | ვანის | 9 | 7 | 12.0 | " | II | 454 | 316 | 77 | 847 | 0.8 | 17841 | 3568 |
| | | | 1 | 5 | 7.0 | " | II | 297 | 298 | 60 | 655 | 2.0 | 12198 | 2440 |
| | | მოხვის | 16 | 29 | 6.0 | " | II | 306 | 197 | 50 | 553 | 0.5 | 11932 | 2386 |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 25.0 | | | 1057 | 811 | 187 | 2055 | 3.3 | | |
| 6 | კასპის სმ | რკონის | 24 | 21 | 12.0 | წიფ | III | 99 | 137 | 24 | 260 | 0.5 | 3315 | 7616 (1523) |
| | | | | | | ნძ | | 316 | 151 | 23 | 490 | | 4301 | |
| | | | სულ | | 12.0 | | | 415 | 288 | 47 | 750 | 0.5 | | |
| | | | 35 | 1 | 5.2 | წიფ | III | 209 | 163 | 37 | 409 | 1.0 | 6512 | 1302 |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 17.2 | | | 624 | 451 | 84 | 1159 | 1.5 | | |
| 7 | ბაღდათი-ვანი | საირმე(ვანი) | 20 | 12 | 9.0 | წიფ | IV | 598 | 423 | 88 | 1109 | 0.5 | 14333 | 2866 |
| | | | 10 | 6 | 9.0 | წიფ | III | 648 | 317 | 96 | 1061 | 1.8 | 19467 | 3894 |
| | | | 10 | 5 | 3.0 | წიფ | III | 91 | 74 | 17 | 182 | – | 2848 | 569 |
| | | | 10 | 5.7 | 17.0 | წიფ | III | 1092 | 609 | 170 | 1871 | 1.8 | 33095 | 6619 |
| | | ლაშურის | 10 | 8 | 12.0 | წიფ | IV | 464 | 241 | 70 | 775 | 3.0 | 10898 | 2180 |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 50.0 | | | 2893 | 1664 | 441 | 4998 | 7.1 | | |
| 8 | ჩოხატაური | ჩოხატაური | 26 | 4 | 10.0 | წიფ | IV | 693 | 307 | 100 | 1100 | 0.8 | 16127 | 3225 |
| | | | 27 | 4.14 | 14.0 | წიფ | IV | 727 | 314 | 104 | 1145 | 1.5 | 16894 | 3379 |
| | | | 27 | 1 | 7.0 | წიფ | IV | 394 | 272 | 66 | 732 | 0.6 | 9447 | 1890 |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 31.0 | | | 1814 | 893 | 270 | 2977 | 2.9 | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | |
| 9 | ცაგერი | ტვიში | 13 | 4 | 16.0 | წიფ | IV | 204 | 162 | 36 | 402 | 4.0 | 4951 | 990 |
| | | | 12 | 5 | 12.0 | წიფ | IV | 214 | 146 | 36 | 396 | 5.0 | 5127 | 1025 |
| | | ქულბაქი | 34 | 12 | 20.0 | წიფ | IV | 179 | 232 | 45 | 456 | 6.0 | 4614 | 923 |
| | | | 5 | 12 | 12.0 | სკ | IV | 288 | 364 | 37 | 689 | 3.0 | 3201 | 5543 (1109) |
| | | | | | | წიფ | | 89 | 132 | 24 | 245 | | 2342 | |
| | | | სულ | | 12,0 | | | 377 | 496 | 61 | 934 | 3,0 | | |
| | | ქულბაქი | 8 | 5 | 14.0 | წიფ | IV | 196 | 287 | 48 | 531 | 4.0 | 5010 | 6273(1255) |
| | | | | | | სკ | | 115 | 137 | 14 | 266 | | 1263 | |
| | | | სულ | | 14,0 | | | 311 | 424 | 62 | 797 | 4,0 | | |
| | | | 12 | 7 | 14.0 | სკ | IV | 412 | 501 | 51 | 964 | – | 4542 | 5489(1098) |
| | | | | | | წიფ | | 37 | 46 | 9 | 92 | | 947 | |
| | | | სულ | | 14,0 | | | 449 | 547 | 60 | 1056 | – | | |
| | | ორბელი | 31 | 10 | 32.0 | წიფ | IV | 513 | 768 | 128 | 1409 | – | 13489 | 2698 |
| | | | 71 | 3 | 28.0 | წიფ | IV | 520 | 780 | 130 | 1430 | – | 13678 | 2736 |
| | | | სულ | | 60,0 | | | 1033 | 1548 | 258 | 2839 | – | | |
| | სახეობების მიხედვით | | | | | წიფ | IV | 1952 | 2553 | 456 | 4961 | 22,0 | | |
| | | | | | | სკ | | 815 | 1002 | 102 | 1919 | | | |
| | სულ სატყეო მეურნეობაში | | | | 148,0 | სულ | | 2767 | 3555 | 521 | 6843 | | | |
| | სახეობების მიხედვით | | | | | წიფ | | 14681 | 11919 | 2198 | 28798 | 60.6 | | |
| | | | | | | წიწვ | | 4363 | 2663 | 462 | 7488 | | | |
| | ჯამში | | | | 753,2 | სულ | | 19044 | 14582 | 2660 | 36286 | | 438632 | |

შენიშვნა: "ბიჯი" შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს

---

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წესით განსაზღვრა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე (www.geotvr.ge) და მოქალაქეთა მისაღებში (კოსტავას ქ. N68 1 სრთული).

გთხოვთ, 2005 წლის 3 ნოემბრამდე მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
36 44 96

Mail: www.irina-096@yahoo.com

სამეურვეო საბჭო

---

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

## ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში AUBG

აცხადებს კონკურსს სოროსის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად 2006/2007 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატურის შემდეგ ფაკულტეტებზე:

ბიზნეს ადმინისტრაცია
- ეკონომიკა
კომპიუტერული მეცნიერებები
- ისტორია
ჟურნალისტიკა / მასობრივი კომუნიკაციები
- პოლიტიკური მეცნიერება / საერთაშორისო ურთიერთობები
მათემატიკა
- ევროპული მეცნიერებები

უნივერსიტეტში სწავლა ოთხწლიანია. სოროსის სტიპენდია ყოველწლიურად ფარავს სწავლის ღირებულებას, ჯანმრთელობის დაზღვევის, ბულგარეთის ვიზის, საკონსულო მომსახურეობისა და მგზავრობის ხარჯებს.

სტუდენტს გადასახდელი ექნება ცხოვრების, კვებისა და სახელმძღვანელოების შესაძენი თანხა, რაც ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 1,900$ (ათასცხრაას ამერიკულ დოლარს ).

პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა სწავლობდნენ საშუალო სკოლის მე-11 კლასში ან იყვნენ აბიტურიენტები. უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. მიღება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე. აბიტურიენტები აბარებენ **TOEFL**-სა და ახალი **SAT** ტესტებს.

OEFL **ამერიკული უნივერსიტეტის ბულგარეთის საგანაცხადო ფორმა შეგიძლიათ მოიპოვოთ უნივერსიტეტის საიტზე: www.aubg.bg**

**დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
ჭოველიძის ქუჩა 10, (ყოფილი ბელინსკი )
ოთახი N 102
**საკონტაქტო ტელეფონი: 25 26 15 ან 25 04 63**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ორშაბათსა და ოთხშაბათს
14:00 საათზე.

**საგანაცხადო ფორმების შემოტანის ბოლო ვადაა 20 დეკემბერი.**

---

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მსოფლიო ბანკის კრედიტი N 3701-GE
## მოწვევა ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობაზე

თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოები მდინარე არაგვის აუზში

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეეხება მდინარე არაგვის აუზში თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოების წარმოებას. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

2. სამუშაოები მოიცავს: ა) ჟოპორტის წყალსაცავის გაწმენდით სამუშაოებს; ბ) ნატახტრის ახალ წყალსადენში არსებული № 1, 2, 3, 4 სალექრების, საინფილტრაციო მოედნების, სადრენაჟო მილდენების სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შემოვლითი ნედლი წყლის მილდენის მოწყობის სამუშაოებს; გ) მისაქციელის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; დ) ჟოპორტის წყალსადენის წყალმიმღების და დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ე) საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ვ) აბანოსხევის დამცავის დამბის აღდგენით სამუშაოებს. სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2005 წლის დეკემბრის დასაწყისიდან 2006 წლის მარტის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაცია გამოცემულ იქნება 2005 წლის 1 ნოემბერს. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეუკვეთონ უსასყიდლოდ მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე ინტერესის გამოხატვის წერილის მოწოდებით. სატენდერო დოკუმენტები გამოცემისთანავე გაეგზავნება ფოსტით მოთხოვნილ მისამართზე ყველა იმ ფირმას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს. თუკი ფირმა მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე.

4. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა იქნება 2005 წლის 28 ნოემბერი. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ზუსტი დრო და წინადადების საბანკო გარანტიის ოდენობა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა მოაწოდონ ინტერესთა გამოხატვის წერილები და შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი 0105
ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69
ფაქსი: 94-04-39
ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE

ლაშა ბუღაძის სვეტი

# ტელეკომპანია "კავკასია"



(წამყვანი - დაღლილი, მოთენთილი, გამოუძინებელი მამაკაცი მაგიდაზეა გადაწოლილი და სტუმრებს ესაუბრება. ორი სტუმარი ჰყავს: პირველი, ერთდროულად, ჰგავს გუბაზ სანიკიძესაც და ნემო ბურჭულაძესაც, თუმცა, გამოხედვა ნამდვილად ნოდარ ნათაძისა აქვს, ხმა - ელიზბარ ჯაველიძის, თმა - თემურ ქორიძის, თითები - ადა მარშანიასი. მეორე სტუმარი ას წელს მიღწეული მამაკაცია, რომელსაც ორდენებიანი კიტელი აცვია.)

**სტუმარი კიტელით**. (მუშტს დაჰკრავს მაგიდას) გადარევას ვარ პირდაპირ!.. გადარევას... ამასწინეებზე გამოსულა, თურმე, სალაცას ბუში და უთქვამს, მეგრელები და სვანები ქართველები არ არიენო!.. რავა, ბატონო!.. რავა კადრულობს ამას!..

**წამყვანი.** რას ბრძანებთ, არ გეშლებათ?! თქვენ თვითონ... (ამთქნარებს) მოისმინეთ?

**სტუმარი კიტელით**. (ვერ გაიგონა, რა უთხრეს ) რავო?..

**წამყვანი**. თუკი მართლა თქვა ასეთი რაღაც, ნამდვილად დიდი შეცდომა დაუშვია... ამ დროს, ვიცნობ პირადად... არ გავს ისეთ კაცს, ენა რო წინ უსწრებდეს... მეუღლესაც ვიცნობ...

**სტუმარი კიტელით**. ლომაიას!.. ლომაიას გამეისობით ამბობს ამგენს!.. იცის ბუშიმ, რომ ლომაიას გაახარებს ამნეირი ლაპარაკით...

**წამყვანი.** ესე იგი, თქვენც ფიქრობთ, რომ... (კეფას მოიქექავს) ლომაია მასონია?.. ბოდიშს გიხდით, სხეული მექავება - ოთხი დღეა, არ მიძინია...

**პირველი სტუმარი**. რას გეტყვით, იცით?!.. ლომაია - ყურმოკრულ რამეს კი არ გეუბნებით, ჩემ სიტყვებზე პასუხს ვაგებ - სინამდვილეში გახლავთ რობოტი. მასონური რობოტი! ფრენაც შეუძლია... ამასწინათ დაუნხავთ - მეტრო "დელისის" გარშემო დაფრინავდა თურმე...

**სტუმარი კიტელით**. რას უყურებს სტალინი! რავა ძლებს მიწაში!

**წამყვანი**. (კოსტუმს აიწევს, კიტელიანს ზურგს შეაქცევს ) თუ არ შეწუხდებით... იქნებ ჰორიზონტალურად?..

**სტუმარი კიტელით**. რავა, გეფხანება?

**წამყვანი.** ყველას რაღაც უჭირს ჩვენ ქვეყანაში... მაგრამ, ნუ, ეს არ არის მთავარი... რამდენიმე დღის წინ წავიკითხე გაზეთ "გენერალისიმუსში"...

**სტუმარი კიტელით**. აუფ, ბრწყინვალე გაზეთია!.. ბრწყინვალე!.. ველიკაია გაზეტა!..

**მეორე სტუმარი**. "რაო-რაოც" დიდებულია!.. შექმა მოგინდება, იმისთანა გაზეთია... ჩვენი სულიერების სადარაჯოზე მდგომი...

**სტუმარი კიტელით**. "პრეზიდენტიც" კაი გაზეთია!.. იერთი სიამოვნებაა მაგის კითხვაც!..

**მეორე სტუმარი**. მაგრამ მაგათი მეფე "ასავალ-დასავალია"!..

**სტუმარი კიტელით**. "ლიტერატურული საქართველოც" მომწონს ამ ბოლო დროს!.. უწინაც მომწონდა - "კომუნისტს" მაგონებდა... მაგრამ იეხლა, უკაცრავალი პასუხია და, ბდღვირს ადენს მაგ მასონოებს... ბდღვირს!

**მეორე სტუმარი**. (წამყვანს ) რა წაიკითხე ამისთანა, აღარ გათქმევინეთ...

**წამყვანი**. ...ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან.

**სტუმარი კიტელით**. (გახარებული შესძახებს ) რავოო?! იგორ გიორგაძევო! ეგაა ჩვენი გადამრჩენელი!.. ნაღდი ჩეკისტი!.. ნაღდი!.. ან რავარი ლაპარაკი იცის, მაგას ვენაცვალე... ან რავარი ვარცხნილობა აქს...

**მეორე სტუმარი**. (წამყვანს ) რაო, მერე, რას წერს იგორი?

**წამყვანი**. შევარდნაძესო, პირველად, მე კი არ მოვუწყე ტერაქტი, სააკაშვილმა მოუწყოო... თანაც, ცეკას მდივნობის დროსო...

**სტუმარი კიტელით**. რავაო, კაცო! თლათ პატარა არ იყო მაშვინ?!

**წამყვანი.** ნუ, ბატონი იგორი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - მჟავანაძე გადაურჩა სააკაშვილს, მაგრამ აი, შევარდნაძე კი ვერა...

**მეორე სტუმარი**. კანდიდ ჩარკვიანიც გადაურჩა, სხვათა შორის!

**წამყვანი**. უკაცრავად... მაყურებელი გვირეკავს... გაბმული ზარია - ეტყობა, რაიონიდან გვირეკავენ... გისმენთ...

**მოხუცი ქალის ხმა**. ალო!

**წამყვანი.** დიახ, ქალბატონო.

**მოხუცი ქალის ხმა**. მაინტერესებს, მართალია თუ არა, რომ ლევან რამიშვილი, სინამდვილეში, არუთუნიანია გვარად?.. რაღაც კანის ფერი არ მომწონს მაგისი..

**წამყვანი**. დიდი მადლობა, ქალბატონო, ძალიან საინტერესო შეკითხვისათვის. დავადგენთ და დაგიკავშირდებით. (სტუმრებს) სამწუხაროდ, ჩვენი ეთერის დრო შეზღუდულია, მაგრამ იმედი მაქვს, კიდევ არაერთხელ გვეწვევით სტუმრად... (კიტელიან სტუმარს, ღიმილით) სიკვდილი არ გამაგონოთ... კიდევ ასი წელი უნდა იცხოვროთ ამ მთავრობის ჯინაზე!.. ჩვენ კი, აწი, საღამოს რვის ოც წუთზე გავალთ ეთერში, თორე კაციშვილი არ გვიყურებს, როცა გადაცემას რვაზე, ან ცხრაზე ვიწყებთ - სხვა არხების საინფორმაციო პროგრამები გვემთხვევა და იმიტო!.. მაგრამ, ვიცი რომ არ მიგვატოვებთ - კაცს თუ უნდა, რვის ოც წუთზეც მოისმენს სიმართლეს! (უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ჩაეძინება)

# ლაშა და ოპოზიცია



*დავით უსუფაშვილი*

**ლაშა ბუღაძე:** დღევანდელ გადაცემაში ერთი სტუმარი გვყავს - "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით უსუფაშვილი. დიდი ხანია მიმდინარეობს საუბარი დიდი ოპოზიციური გაერთიანების შესახებ. უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით ამის შესახებ?

**დავით უსუფაშვილი:** ამ გაერთიანების საბოლოო შედეგი ოპოზიციური ძალების საგრძნობლად გაძლიერება და გამსხვილება იქნება, რათა უფრო ეფექტური და კონკრეტული ამოცანების დასახვით გაცილებით შედეგიანად ვიმოქმედოთ. ამ პროცესის დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, თუმცა მოლაპარაკებები საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ მის გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ძალებთანაც. მალე დადგება დრო, როდესაც ამის შესახებ ხმამაღლა განვაცხადებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ამით ვეხმიანებით ე.წ. საზოგადოებრივ დაკვეთას, ანუ ანგარიშს ვუწევთ საზოგადოების მოთხოვნებს, რაც ისედაც ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მოვალეობაა. დღეს აშკარად ჩანს, რომ საზოგადოებაში უფრო ძლიერი ოპოზიციური ძალების გაჩენის მოთხოვნილებაა. თუმცა ეს არ უნდა იქცეს გაერთიანებად გაერთიანებისთვის, არამედ უნდა გადავდგათ სოლიდური ნაბიჯები გრძელვადიანი მიზნებითა და შედეგებით. მაგალითად, პირველ მიზნად ვისახავთ ჩვენი საზოგადოებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ 2003 წლის ნოემბრის მოვლენები გარდაუვალი იყო და თითოეული მოქალაქე, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდა, არ მოქმედებდა გაუაზრებლად. ჩვენი გაერთიანებაც იმ ძალებისგან შედგება, რომლებიც იმ მოვლენებში მონაწილეობდა და გვსურს, საზოგადოებასთან ერთად იმ პრინციპების ერთგული ვიყოთ, რომელმაც მაშინ მთელი ქვეყანა გააერთიანა. ამავდროულად, უნდა შევუძახოთ ხელისუფლებას, ნუ დაივიწყებს იმ დროს და იმ იდეალებს, რისთვისაც მაშინ იბრძოდა. "რესპუბლიკურ პარტიას" კონსტრუქციული ურთიერთობა აქვს ყველა ოპოზიციურ ჯგუფთან. ჩვენი პოლიტიკური პაექრობა უნდა იყოს კონკურენცია, რომელიც ორივეს წინსვლაში დაგვეხმარება და არა მტრობა, რომელიც უკან დაგვხევს.

**ლაშა ბუღაძე:** საზოგადოებაში უკვე გაჩნდა ეჭვი - ხომ არ დავუშვით შეცდომა, როდესაც 23 ნოემბრის მოვლენებში ვმონაწილეობდით. გაჩნდა სკეპსისი ზოგადად პოლიტიკოსების მიმართაც.

**დავით უსუფაშვილი:** ეს დამოკიდებულება გარკვეული ობიექტური და კანონზომიერი შედეგია იმ 15-წლიანი პერიოდისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა. ნებისმიერი ერის პოლიტიკურ და ეროვნულ-საზოგადოებრივ ცნობიერებას სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ის, რაც საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე მოხდა. კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ საზოგადოებაში გამეფებულმა ამაღლებულმა განწყობამ, პრაქტიკულად, კრახი განიცადა. ეს პროცესი რეაგირების გარეშე ვერ დარჩებოდა. 2003 წლის ნოემბერში ჩვენს ხალხს მიეცა შანსი, რომ არა მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე მიეღწია წარმატებისთვის, არამედ საკუთარ თავშიც ეპოვა რწმენა, გაეაზრებინა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება გულისხმობს პარტიების, არჩევნების, პარლამენტის, ოპოზიციის, ხელისუფლებისა და სხვა ინსტიტუტების არსებობას. ეს ატრიბუტები აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებამ სახელმწიფო საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოიყენოს. სახელმწიფოებრივი ცხოვრება ვერ მიიღწევა, თუ მოქალაქე არ არის პოლიტიკურად აქტიური. მოქალაქე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს აქტიური, თუ ყველაფრით კმაყოფილია და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

**ლაშა ბუღაძე:** არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი პოლიტიკურად აქტიურია, მაგრამ მის ქმედებას არა აქვს შედეგი, ამიტომ განზე დგომას ამჯობინებს.

**დავით უსუფაშვილი:** ადვილი მოსალოდნელია, რომ მოქალაქეს ასეთი განცდა გაუჩნდეს. სწორედ აქ ჩნდება პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ბოლომდე აქტიურები და პრინციპულები უნდა დარჩნენ. მე მოვუწოდებ ნოემბრის მოვლენების ყველა მონაწილეს, რომ კვლავ იტვირთონ ეს პასუხისმგებლობა. არ შეიძლება, ოპოზიციის საქმიანობა მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკის დონეზე დავიდეს. საჭიროა შეიქმნას ალტერნატიული ხედვა. ხშირად მსმენია, რომ მოსახლეობაში არა მხოლოდ ხელისუფლებისადმი უნდობლობა გაჩნდა, არამედ შფოთის განცდაცაა გამეფებული. ჩვენ სწორედ ამ შფოთის განცდას უნდა მივხედოთ, რომ ყველაფერი ქაოსში არ გადაიზარდოს.

**ლაშა ბუღაძე:** ჩვენთან ყველა საკითხი რადიკალური გზით წყდება. არის თუ არა ეს პრობლემა?

**დავით უსუფაშვილი:** ცხადია, ეს პრობლემაა, რომ საქართველოში ჯერ არჩევნების გზით ხელისუფლება არ შეცვლილა. ჩვენ, პოლიტიკოსები, ვალდებული ვართ, საკითხი ასე მარტივად არ დავსვათ. უბრალოდ, უნდა დავანახოთ, რომ ხელისუფლებიდან თავისით მოუწევთ წასვლა.

**მსმენელი:** ხშირად პარტიული სიით გასული კანდიდატი უღირსი აღმოჩნდება ხოლმე. ამიტომ ხომ არ აჯობებს, მთავრობაში ინდივიდუალურად მოღვაწე პოლიტიკოსები მოვიდნენ და არა პარტიის სახელს ამოფარებული ადამიანები?

**ლაშა ბუღაძე:** როგორც წესი, ჩვენთან პარტია ერთი ცნობილი სახელითაა წარმოდგენილი, დანარჩენ წევრებს კი შეიძლება არც ვიცნობდეთ. მაგალითად, ნაციონალური პარტიის რეიტინგი საგრძნობლად დაცემულია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის სახელი მაინც ინარჩუნებს წონას. როგორაა შესაძლებელი, რომ ხალხს მეტი ინფორმაცია ჰქონდეს ამა თუ იმ პარტიის ზოგადი შემდგენლობის შესახებ?

**დავით უსუფაშვილი:** პოლიტიკური პარტიები საქართველოში შედარებით ახალი ხილია, ამიტომ არ არსებობს სოციალური ჯგუფი, რომელსაც ესა თუ ის პარტია ეფუძნება. თუმცა არის იმის სერიოზული შესაძლებლობა, რომ ადამიანებმა თავად გააკეთონ დასკვნები. ჩვენმა წარსულმა ერთი მარტივი ჭეშმარიტება დაგვანახა - ერთ პიროვნებაზე აწყობილი პოლიტიკური ძალა არ ამართლებს. მეორე შემთხვევაში ასეთ ძალას მხოლოდ ავტორიტარული მართვა შეუძლია (მაგალითად, სტალინის შემთხვევაში), რითაც დიდ ეკონომიკურ თუ სამხედრო წარმატებას მიაღწევს, მაგრამ ასეთ პირობებში ადამიანის თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია. როგორც წესი, ყველა ლიდერი ამბობს, რომ ჰყავს თავისი პოლიტიკური გუნდი, მაგრამ ლიდერთა ნაწილი ქმნის არა გუნდს, არამედ მონათა გაერთიანებას. ამიტომ აუცილებელია, ყველა ლიდერს ვკითხოთ, ვისთან ერთად მოდის ხელისუფლებაში. ჩვენთან, როგორც წესი, არჩევანს ქარიზმატული ლიდერების სასარგებლოდ აკეთებდნენ, მაგრამ ახლა უკვე მოსახლეობის დიდი ნაწილი ხვდება, რომ არჩევნები არ არის კონკურსი ხმამაღლა მოლაპარაკეთა ან ყველაზე მამაცებს შორის. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ საუკეთესო მმართველი. რაც შეეხება მსმენელის აზრს, ეს საკმაოდ რთულია, რადგან ინდივიდი თუ რაიმე ინსტიტუტში არ არის გაერთიანებული, წარმატებას ნაკლებად მიაღწევს. ასეთ პირობებში ძნელია დემოკრატიის მიღწევა. რესპუბლიკელებს გვაქვს იმის განცხადების ამბიცია, რომ ჩვენს პარტიაში არ არიან პოლიტიკურად ზარმაცი ან ხელმოცარული ადამიანები. ჩვენს წევრებს ბევრი უშრომიათ საკუთარ სფეროში და პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ გადაინაცვლეს, რომ არსებული პოლიტიკური ფონის გამო იმ სფეროში მოღვაწეობა არ იძლეოდა სასურველ შედეგს.

**ლაშა ბუღაძე:** დავით ზურაბიშვილმა დატოვა უმრავლესობა და, სავარაუდოდ, ოპოზიციაში გადავა. რამდენად მოსალოდნელია, რომ ამ გზით საპარლამენტო ოპოზიციის რიგები უფრო შეივსოს?

**დავით უსუფაშვილი:** ეს არ იქნება მარტივი პროცესი. არ მიგვაჩნია, რომ ვინც უმრავლესობას დატოვებს, ის აუცილებლად ოპოზიციაში გადავა. სააკაშვილის გუნდი შევარდნაძის გუნდისგან განსხვავდება და შიდა სადამსჯელო სისტემები გაცილებით მკაცრი აქვთ. არ მიმაჩნია სწორად, რომ საკუთარი გუნდით უკმაყოფილომ აუცილებლად ჩვენთან იპოვოს თავშესაფარი. გარდა ამისა, თუ დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია უფრო კოორდინირებულად იმუშავებს, პროცესებზე მეტ გავლენას მოახდენს.

# ოპერის თეატრი მერიას მიმართავს

სოფო კილასონია

უკვე კარგა ხანია, რაც კვირაობით რუსთაველის გამზირი იკეტება. თუ თავიდან ამ ფაქტს რიგითი თბილისელების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგებოდა, დღეს უკმაყოფილება გამოთქვა ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობამ და მერიას დახმარება სთხოვა.

მორიგი ორშაბათი და ისევ საზოგადოებრივ საპირფარეშოდ ქცეული ოპერის თეატრის ეზო-ბაღი, წარწერებით დამშვენებული თეატრის კედლები და დამწვარი აფიშები. ამგვარ ვანდალიზმს თეატრის პერსონალი კარგა ხანს ითმენდა, ყოველ ორშაბათს შაბათობას იწყებდა, მაგრამ გუშინ წმენდასა და დასუფთავებას პრესკონფერენცია მოჰყვა.

**დავით საყვარელიძე**: "მშვენიერი იდეა იყო, ბავშვებსაც ასეირნებდნენ და რაღაც-რაღაც ღონისძიებებსაც აწყობდნენ. მაგრამ ამ ყველაფერმა სახე იცვალა - კვირადღეს რუსთაველზე, კონკრეტულად კი ჩვენი თეატრის მიდამოებში ღრეობა იმართება. აქ ხდება ყველანაირი საშინელება, რაც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. საბოლოოდ კი საშინლად დანაგვიანებული და დაბინძურებული რჩება შენობა და ბაღი. ამ ყველაფერზე თვალს ვხუჭავდით, გვეგონა, რაღაც საშველი დაგვადგებოდა, მაგრამ სულ უფრო უარესდება ამ საკითხისადმი იმ საზოგადოების დამოკიდებულება, რომელიც კვირადღეს ქალაქის ცენტრში იყრის თავს. მსგავსი ღონისძიებები უცხოეთშიც ეწყობა, მაგრამ იქ ყოველ ნაბიჯზე ტუალეტები და სამედიცინო პუნქტებია, აქ კი ამ მიზნით ბაღებსა და სკვერებს იყენებენ. ფაქტია, რომ ის, ვინც რუსთაველის გადაკეტვით მართლაც სიამოვნებას იღებდა, ბავშვს ასეირნებდა, გარკვეულ წარმოდგენებს ესწრებოდა, აქ აღარ გამოდის. დააკვირდით და მიხვდებით: მათთვის, ვინც აქ თავს იყრის, არც ოპერის თეატრის შენობა წარმოადგენს რამეს და არც რუსთაველის თეატრი. მსგავს პრობლემებს რუსთაველის თეატრიც წააწყდება. ამას გარდა, ჩვენ ყოველ კვირას წარმოდგენებს ვმართავთ. ჩვენი მაყურებელი შენობამდე თუ მოაღწევს, შემოსასვლელში ნამდვილად ყოვნდება იქ გამართული კინკლაობისა თუ კიდევ სხვა კრიმინალური პროცესების გამო. ნუთუ არ შეიძლება, ეს სახალხო ზეიმობა ქალაქის სხვა ადგილას გადავიტანოთ, ვთქვათ, ნარიყალაზე ან კიდევ უკეთეს ადგილას? ჩვენ არ ვუპირისპირდებით მერიას, უბრალოდ, ვთხოვთ, ჩვენი პრობლემები გაიზიაროს და როგორმე დაგვეხმაროს."

დღეს დილით მთელი თეატრის შენობა დიდრონი შავი წარწერებით იყო მოკაზმული, თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მისი გადაღებვა მოუწევთ. ამ ყველაფრის დაკონკრეტება კი არ იქნება საჭირო, თუ ისინი, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალება, კვირადღეს ერთხელ მაინც გაივლიან რუსთაველის პროსპექტზე...

# "ბუკერის" პრემია - ირლანდიელ ავტორს

დიდ ბრიტანეთში, ლონდონის გილდჰოლში გაიმართა "ბუკერის" პრემიის გადაცემის ცერემონიალი. ამჯერად ამ პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მფლობელი გახდა ირლანდიელი ჯონ ბენვილი, რომელიც ნომინირებული იყო რომანისთვის "ზღვა". ჯონ ბენვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს დუბლინში. წარსულში გაზეთ Irish Times-ის ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. "ზღვა" მისი მე-14 რომანია. ნაწარმოების გმირია საშუალო ასაკის ხელოვნებათმცოდნე მაქს მორდენი. მისი მეუღლე კიბოთი გარდაიცვალა, ამიტომ მძიმე დეპრესიისგან გათავისუფლების მიზნით იმ ზღვისპირა ქალაქში ბრუნდება, სადაც ბავშვობა გაატარა.

როგორც ჟიურის წევრმა, ცნობილმა მწერალმა ჯონ საზერლენდმა აღნიშნა, რომანში საუკეთესოდაა გადმოცემული ადამიანური განცდები, წუხილი და სიყვარული. გარდა ამისა, საზერლენდი აღფრთოვანებულია ბენვილის ლექსიკის სიხარტით. მისი თქმით, ბენვილის ხელში სიტყვა მუსიკალური ინსტრუმენტის ჟღერადობას იძენს.

ჯონ ბენვილი უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში პირველი ირლანდიელია, ვისაც "ბუკერის" მიღების პატივი ხვდა წილად. იგი ამ პრემიაზე 1989 წელსაც იყო ნომინირებული, მაგრამ უშედეგოდ.

ბენვილის გარდა "ბუკერის" საფინალო ეტაპზე კიდევ ხუთი ავტორის რომანი იყო წარდგენილი: ჯულიან ბარნსის "არტური და ჯორჯი", სებასტიან ბარის "გრძელი გზა", კაძუო ისიგუროს "არასდროს გამიშვა", ალი სმიტის "შემთხვევითი" და ზეიდი სმიტის "სილამაზის შესახებ". ბენვილის მთავარი კონკურენტები იყვნენ ბერნსი და ისიგურო, მაგრამ საზერლენდის სიტყვა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

"ბუკერის" პრემია 1960 წლიდან გაიცემა. იგი ენიჭება იმ ავტორებს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ან ირლანდიაში ცხოვრობენ. პრემია 50 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მიღებას მოსამზადებლად:სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**

**მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზ.32. ტელ.22 -34-26**



ყურადღება!

"რესტორანი დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ
საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები
ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის
**ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის"
მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!



**ფირმა "ჩაღლარის"**

**ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები**

**"ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში**



**პატივცემულო მშობლებო!**

ეროვნული გამოცდებისათვის ბავშვის მომზადება თქვენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს, რადგან გაიხსნა ფირმა "ჩაღლარის" უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსამზადებელი კურსები "ცოდნა". კვირის თქვენთვის სასურველ დღეებში გამოცდილი და კვალიფიციური კადრები მოამზადებენ თქვენს შვილებს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული საგნების პროგრამით.

ტექნიკური განხრით ისწავლება: ქართული, მათემატიკა, ლოგიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ინგლისური.

ჰუმანიტარული განხრით კი: ქართული, მათემატიკა, ლოგიკა, ისტორია, გეოგრაფია და ინგლისური.

**გახსოვდეთ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ყოველი ახალგაზრის ოცნებაა!**

რეგისტრაცია მიმდინარეობს

**2005 წლის 1-დან 28 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართებზე:**

**თბილისი, გრიშაშვილის ქ. 51 (ორთაჭალა) ტელ: 75 24 58, 75 44 94**

**დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი**
**ბათუმი, ხიმშიაშვილის 55 ტელ: +995 32 888 222 764 09**
**რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმი**

